



# ლექსის ბაღნარი

მანანა შიოშვილი

მანანა შიოშვილი

ლექსის ბადნარი



თელავი

2024



**რედაქტორი:** ნინო გიორგაძე

**კორექტორი:** ნინო გიორგაძე

**დამკაბადონებელი:** ნანა ლუმბაძე

**მხატვრული რედაქტორი:** ეკატერინა თორაძე

**გარეკანის დიზაინი:** ავტორისეული

© მ. შიოშვილი, 2024

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-636-2



სიყვარულად, სითბოდ იღვრება მანანა შიოშვილის ყოველი სტრიქონი. არაფერს ისე არ შეენის გულწრფელობა, როგორც პოეზიას. გულწრფელობა მხოლოდ სამშენისი არ არის ლექსისთვის; ის, უპირველესად, ნდობის საფუძველია, რაც უცილობლად ამყარებს კავშირს შემოქმედსა და მკითხველს შორის.

მანანა შიოშვილის ლექსების კრებული სინათლით სავსე წიგნია. მასში ვერ ნახავთ რეალური ცხოვრების მრუშე ფერებს. არ დაგდლით ყოველდღიურობიდან გადმოტანილი ფოტოგრაფიული ასლებით; იგრძნობა წერის მანერის სიფაქიზე.

პოეტი წინაპართა გზას მიუყვება სიკეთის, ერთგულების, თანადგომა-თანადმობის სურვილად და შეგონებად უქცევია სათქმელი.

ნინო გიორგაძე





მანანა შიოშვილის ლექსები გამთბარია მზის სხივებით, იის სინაზით, სამშობლოს სიყვარულით, სახელოვან წინაპართა მონატრებით, დედური აღლოთი და, რაც მთავარია, გულწრფელობით.

იმედია, მკითხველი გულთბილად მიიღებს პოეტი ქალის ლექსების პირველ კრებულს.

ლამზირა კვიციანი



მანანა შიოშვილის ლექსები ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის წლებში იბეჭდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში – „მოძღვარი“ და, აგრეთვე, თელავზე შექმნილი ლექსების კრებულში – „ფილტვად აქვს კახეთს თელავი“, რითაც მან მკითხველის სიყვარული დაიმსახურა.

მჯერა, „ლექსის ბაღნარში“ სასიამოვნო წუთები, გამხნეება და ოპტიმისტური განწყობა გველოდება.

მანანას, როგორც გამორჩეულად მზრუნველ დედას, ნიჭიერ შემოქმედს, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულსა და საიმედო ადამიანს, ვუსურვებ ულევ შემოქმედებით წარმატებას.

რიმზი მაისურაძე



## ავტორისაგან

ჩემო მკითხველო, ეს კრებული მოკრძალებული ცდაა იმ გრძნობების გამოხატვისა, რომელსაც გულით ვატარებ – იქნება ეს ლექსის სიყვარული თუ დაუვიწყარი მოგონებები, ქართველდებობის ღირსებისა და მადლის განცდა თუ სახელოვან მამულიშვილთა და სამყაროს შემოქმედის სიყვარული, იის სინაზე თუ შემოდგომის ფერები, მტრედის ღულუნი თუ ბუღბუღის გალობა მთვარის შუქზე, ჭადრის ბორბვა თუ ტირიფის ცრემლები. ვიზრუნე, ღამაზად მეთქვა ჩემი სათქმელი: „სიყვარულია ის ძალა, განთიადისას ცაზე მზეს რომ ააბრიალებს და ჩვენს გულებს მაცოცხლებელი იმედით ადავსებს“.

...

დავიბადე ქალაქ თელავში 1965 წლის ფერისცვალების დღესასწაულის განთიადს.

გავიზარდე ფუძემდებრსა და ფუძეხნიერ, დიდ ქართულ-კახურ ოჯახში, სადაც ვისწავლე შრომის, სიკეთის, სტუმარ-მასპინძლობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანობისა და უფლის სიყვარულის ძალა.

ოჯახში, ჯერ კიდევ სკოლამდელ ბავშვს, მასწავლიდნენ წერა-კითხვას, ხატვას, ძერწვას, ქარგვას, ქსოვას, სიმღერას, ცეკვას, ჭადრაკს. მოზრდილ ასაკში კი მე და ჩე-





მი უფროსი და – ქეთევანი – სამზარეულო საქმეებს და-  
მოუკიდებლად ვართმევდით თავს.

სკოლაშიც მიზანდასახული, აქტიური და წარმატებული მოსწავლე ვიყავი, თუმცა იმ დროს უმაღლესში მოხვედრა მაინც ძალიან რთული იყო და მანამდე დედაქალაქში, სხვადასხვა საგანში მომზადებასთან ერთად, ვსწავლობდი მსუბუქი მრეწველობის სასწავლებელში; სასწავლებლის გაზეთში – „მოწინავენი“ – იბეჭდებოდა ჩემი ლექსები და ჩანახატები; დავიმსახურე წარჩინების დიპლომი და იმავე – 1985 წელს – სტუდენტად ჩავირიცხე იაკობ გოგუბაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1990 წელს დავამთავრე ჯერ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და შემდეგ – 1999 წელს – ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (წარჩინებით).

ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როდესაც თელავის №1 საშუალო სკოლაში ჩემი უფროსი შვილის, თამარის კლასთან ვმუშაობდი, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი. თამარის თანაკლასელები დღესაც სიყვარულით იხსენებენ ჩვენს გაკვეთილებსა და ჩვენ მიერ წარმოდგენილ დაუვიწყარ სპექტაკლს – „დეიდა მაიკოს“ (გიორგი ლეონიძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით).

1992 წლიდან 2005 წლამდე ვმუშაობდი თელავის ტექნიკურ კოლეჯში. ჩემს კოლეგებთან ერთად მე ყოველთვის მადლიერი ვიქნები კოლეჯის დირექტორის, სულმნათი გივი შიოშვილის, ჩვენს პედაგოგებად აღზრდაში ფასდაუდებელი ამაგის გამო.



2004 წლიდან, როდესაც ჩემი შვილები უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებად ჩაირიცხნენ, საცხოვრებლად გადავედით თბილისში, სადაც მალევე დავიწვეე ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა.

სწორედ იმ დროს სავალდებულო გახდა მასწავლებელთა სერტიფიცირება მასწავლებლობის უფლების მოპოვებისთვის; მოვემზადე სათანადოდ და წარმატებით ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდები შემდეგ საგნებში:

- 1) ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასებში;
- 2) ქართული ენა და ლიტერატურა VII-XII კლასებში;
- 3) პროფესიული უნარები;
- 4) ქართული ენა არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის.

დიდი ინტერესით ჩავერთვე ახალი სწავლების პროცესში და გაეხდი უახლესი საგანმანათლებლო პროცესების აქტიური თანამონაწილე.

ჩემმა თამარმა უმაღლესის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლონდონში, ბექამ კი თავის მშობლიურ თელავში დაბრუნება გადაწყვიტა და თავს ბედნიერ დედად ვგრძნობდი, ჩემს შვილებს თავიანთ კუთხეზე ასე უზომოდ შეყვარებულს რომ ვხედავდი; თან გული მტკიოდა იმის მოლოდინით, თბილისელი მოსწავლეები ჩემს კახეთში დაბრუნების ამბავს რომ შეიტყობდნენ. ფიქრიც მიჭირს იმ წუთების გახსენებაზე, როდესაც ბავშვები აცრემლდებული თვალებით მემშვიდობებოდნენ.

... და კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან მხარეზე მწყდებოდა გული; თბილისში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ექვთი-








მე თაყაიშვილის სახელობის კულტურულ-სამეცნიერო საქველმოქმედო ცენტრის პრეზიდენტი ქალბატონი ნელი ჩაფიძე, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე ამავე ცენტრში აქტიურად ჩართულობის გამო.

თბილისიდან თელავში გამომგზავრების წინ ქალბატონმა ნელიმ მითხრა, – წადი, მანანა, შენ შვილების გარეშე მაინც ვერსად მოისვენებ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, ჩვენთან თანამშრომლობას თელავიდანაც შეძლებო.

თელავში დაბრუნებისთანავე ჩემმა მეგობრებმა გასამხნევებლად სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობა მთხოვეს; ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე უნივერსიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელად, სადაც ვმუშაობ დღემდე.

მოვალეობებთან ერთად ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვახმარ ჩვენს ღვთივეკურთხეულ სასწავლებელს და ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ შემოქმედი სტუდენტებისთვის ვადგენ სასცენო ნაწარმოებებს, ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციებს: „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“, „გალაკტიონი“, „იავნანამ რა ჰქმნა?!“  აპრილი“, „ფიროსმანი“, „მეფე ერეკლე II“...

გამუდმებით ვზრუნავ სტუდენტთა ნიჭისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად; მათ უკვე იცნობს ფართო საზოგადოება მას შემდეგ, რაც დიდი თეატრების სცენებზე მრავალჯერ წარმატებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და დიდი იმედით ელიან თავიანთი შემოქმედებით ლევილის ქართული კულტურის ცენტრში გამგზავრებას.



ვმუშაობ საავტორო წიგნებისა და მრავალტომეული კრებულის – „ქართველი ერის შემოქმედებითი გენის საგანძურის“ – გამოსაცემად; ვაგზავნი სამეცნიერო ნაშრომებს საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებზე; ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს დისტანციურად ვუტარებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართულ ოჯახებს, რომელთაგან უდიდეს მადლიერებას ვგრძნობ.

გამუდმებით ვზრუნავ იმისათვის, რომ ჩემი საქმიანობა გამოირჩეოდეს მაღალი პროფესიონალიზმით, მეთოდური გამართულობითა და ახალი სტრატეგიებით.

მიყვარს მოგზაურობა, სამზარეულო საქმე, მუსიკა, კითხვა, წერა; ვზრუნავ მუდმივად განვითარებისათვის და მინდა, რომ ყოველთვის თავს ვგრძნობდე XXI საუკუნის ღირსეულ ადამიანად.

შეუძლებელია, სულიერი განტვირთვის გარეშე დატვირთული რეჟიმით იცხოვროს ადამიანმა და ჩემი ძვირფასი ადამიანების მოფერება და შეძახილება ჩემი სულიერი განტვირთვა; გულში ნატვიფრი წმინდანთა შეგონებებია ჩემი სულიერი განტვირთვა და ჩემს მკითხველში სიცოცხლის სიყვარულის მოზღვაებაა ჩემი სულიერი განტვირთვა.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი „ლექსის ბაღნარს“ ტკბილსურნელოვან პოეზიად შეიტკობს.





# გულში მზის სხივებს ვინახავ



## სულ უბრალო

სულ უბრალო ქალი ვარ,  
სულ უბრალო დედა,  
არც მთვარეს ვუტოლდები,  
არც ვისწრაფვი მზესთან.  
მე ღვთის მადლით აღვსილვარ,  
მოვლენილი ლექსად,  
მინდა, ვთესო სიკეთე  
და ნუგეში ქვეყნად!  
ჩემი ცრემლიც შევმატო  
მტკვარს, ალაზანს, რიონს,  
გავყვე რითმის მორევში  
სულმნათ გალაკტიონს,  
რომ შევუშრო ცრემლები  
საქართველოს, სულმთლად,  
ღუმელს გადავარჩინო  
მონიავღვრე მუზა;  
... რომ ხიდი აღვუდგინო  
მთლად დაკუწულ მამულს,  
კვლავ გვენახოს გაშლილი  
თავრიზიდან არზრუმს!





---

... რომ ჩრდილი არ ესტუმროს  
ქართველის დედის მანდილს,  
... რომ როგორმე ვუშველო  
გულში დაჭრილ არწივს...  
სულ უბრალო ქალი ვარ,  
სულ უბრალო დედა,  
მინდა, ვთესო სიკეთე  
და ნუგეში ქვეყნად!



## ლექსი ნაბიჯია ჩემი

ლექსის თქმა ბავშვივით მიყვარს...  
ლექსით მივუყვები აღმართს,  
ტაძრამდე ლექსით თუ მივალთ,  
ლექსი აგვარიდებს წარღვნას!  
ლექსია სიმშვენიო მზერი  
მთაზე მონანავე ქუჩი,  
ლექსია, შაშვი რომ მღერის,  
ლექსია ხმა, მინდვრის სუნთქვის!  
ლექსი შვება და ლხენაა,  
ლექსი გულისთქმაა, ჩემი,  
ლექსი აღერსით ხვევნაა,  
ბუდეში ჩიტებს რომ შვენიო!  
სიცოცხლის ანკარა წყარო,  
შმაგი სიყვარულის ფესვი,  
ყვავილი, ქვაზეც რომ ხარობს,  
ლექსია, ქართული ლექსი!





## მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ

მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ,  
 ვაზის რტო ვარ, სექტემბრულად გავისილი,  
 ხან მუხა ვარ, ამოზრდილი, მიწიდან,  
 ხან – ყვავილი, ციცაბოზე გაზრდილი!  
 ხან წყარო ვარ, ცივი მთების შვილი და  
 ხანაც ღვინო – მარნის ჭურში ჩადგრილი,  
 ვნაღვლიანობ – შემოდგომის ბინდი ვარ,  
 თუ ვლხინობ და ირემი ვარ, ლალი მთის!  
 მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ!...

\*\*\*

დღეს რატომღაც უჩვეულოდ ვაღამებ  
 და სათუთად მივაცილებ წამებს,  
 დღეს რატომღაც ქარი აღარ მადარდებს  
 და ნაწვიმარ ფოთლებს ვითვლი გარეთ...  
 დღეს ვისხენებ ბალახისფერ არაკებს,  
 ვატკბილფერებ ჩემი თვალის ნამებს;  
 ავედევნე ოცნებათა სამანებს,  
 იქნებ ღირდეს ეს ძიება რამედ;  
 ... და დღეს მხოლოდ შენი რითმა მახარებს –  
 „სილაჟვარდე“, თუნდაც „მე და ღამე“.



\*\*\*

სანამ სიყვარული შემიძლია,  
სანამ ფანტელები მათოვს,  
სანამ თავგანწირვა შემიძლია,  
სანამ ოცნებები მათბობს,  
სანამ გაღიმებულ ვარდს მიძღვნიან,  
სანამ მთვარე სიზმრებს მაქსოვს...  
რა ვქნა, სიბერე არ შემიძლია,  
სანამ თქვენი თავი მახსოვს.

\*\*\*

პალმის ჩრდილში სუნთქავს  
ცველქი სიო,  
საპოვნელა უმღერს  
ამეთვისტოს,  
სურო ყელზე მომეხვევა,  
აღბათ...  
ღიღილოებს გაშლის  
ფიანდაზად...







\*\*\*

ისე ნაღვლიანად დამიხვდა ეწერი,  
 ისე საყვედურით მიბოძა მზერა,  
 ისე დამდულროდა ცრემლებით ფესვები,  
 საბრალოს ხილვით დადუმდა ენა;  
 ... მაგრამ მიტოვება, გულჩვილი ეწერის,  
 სულ ჩემი ბრალია?!...  
 ვიცოდე ნეტავ...

## ხმელო ფოთოლო

ნარინჯი ათოვს ქუჩებს, პროსპექტებს,  
 ბაღნარს, ბილიკებს, სკვერებს, მოედნებს;  
 რა თვალსაამოდ ცვლიან მოვლენებს,  
 სიკვდილ-სიცოცხლის, ერთი მოხედეთ!...  
 არ ენადვლებათ უთქმელი ხვედრი  
 დარში, ავდარში, მოვარდნილ ქარში...  
 ... და მაინც გკითხავ, ხმელო ფოთოლო,  
 როცა ეშვები, რას ფიქრობ მაშინ?...



\*\*\*

იფერფლება შუაღამე,  
ჩასთვლემია მთვარეს,  
სამიჯნურო დადადისი  
დასრულდება მალე;  
ცის ტატნობზე  
მბრწყინავ ვარსკვლავს  
უციმციმებს მკერდი  
და ბუღბუღიც შუაღამის  
საგალობელს მღერის!  
უძილობით  
ცისკრის ვარსკვლავს  
მიენავლა ფერი,  
ანდა რა ქნას,  
გულის სატრფოს  
რა ხანია, ელის...

\*\*\*

უმშვენიერესი  
ვიხილე ზმანება:  
კეთილი ელფები  
როკავდნენ მთვარესთან...  
უხმოდ დაელოცე  
შუქმფინარობა,  
მშვენიერების,  
ღურჯ ცათა შინა!





## სასოება ერთგვის ხმობის

მთვარის შუქზე მოგონებებს ვეწაფები,  
 სასთუმალზე ვერცხლის სხივი თვალებს ნაბავს,  
 ღამის სტუმარს სათნოებით ვეკაფები,  
 სასოება ერთგვის ხმობის კი სულს დაფავს...  
 მთვარის შუქზე მოგონებებს ვეწაფები,  
 შემოდგომა ზარებს მასმენს და გულს დაღავს,  
 მე მაისურ მოგონებებს ვეძალები,  
 სასოება ერთგვის ხმობის კი სულს დაფავს...

\*\*\*

კენჭი სილაზე  
 რონინობს ოდენ  
 და მარგალიტებს  
 ზღვის გული  
 მაღავს!!!!...  
 სიღიადეა  
 და სილაუვარდე,  
 სიიავარდე –  
 ზღვის  
 ფიქრთა მაღვა.



## თოვლისფერ ხიდზე

თოვლისფერ ხიდზე,  
ვით ქალწულები,  
იები სიზმრებს დაჰკეკლუცობენ,  
გადმოჩანჩქერობს ნათლის სამყარო,  
დუღს ჩაიდან, წუთნი წუთობენ!!!...  
ჩვენი არსობის სურნელთფრქვევაა,  
გულთმეცველებით სიბრძნეს უბნობენ...  
მეტი საუნჯე  
ადამიანებს  
რადღა უნდოდეთ?!...  
რადღა უნდოდეთ?!...

## ახლაც თოვს

ახლაც თოვს,  
მაგრამ რას შევადარებთ ქვეყნად იმ თოვას!...  
ჩვენ – ფანტელები;  
წლები – მშვენება;  
ანგელოზების გალობა ციდან...  
მაშინ?...  
მაშინ სხვაგვარად თოვდა!  
თოვდა და გვიხაროდა სითეთრის თოვა...





\*\*\*

მივუყვები სანაპიროს,  
ფეხაკრეფით მომდევს მთვარე,  
ეს ტალღების წვეთებია,  
თუ ცრემლი სდის ობოლ მთვარეს?...  
ვარსკვლავები დამალულან,  
დათალხულა არემარე,  
მარტოდმარტო დარჩენილი,  
უსაშველოდ მოსთქვამს მთვარე.

## იას

რა გატირებს პაწაწინა,  
ღურჯთვალება ია?  
თოვლმა ხომ არ შეგაშინა?  
დავუძახებ ნიავს,  
ამ ფანტელებს მიმოფანტავს  
და გიშველის მცივანს.



## გაზაფხული მაინც გაზაფხულია

გაზაფხულის წვიმით რთავდა ცა დილას,  
იღვრებოდა წვეთ-წვეთ ყინვა, ზამთრისა,  
კვირტს ღიმილი არ აცალა, ატმისას,  
დაიცრემლა ოცნებები, ნატვრისა...  
ჩუმი სუნთქვით იძინებენ ატმები,  
რტოდამზრალი, კვირტებგანაწამები;  
სიზმარ-სიზმარ მობილიკობს აპრილი,  
სიცოცხლით და სიყვარულით ავსილი...  
გვაწვიმს, ზეცა წვიმად თავგაკლულია,  
გაზაფხული მაინც გაზაფხულია!





## ველარ

გავრბოდი,  
გამაჩერეს,  
წამაქციეს;  
ისევ ავდექი და ისევ გავიქეცი!  
ისევ გამაჩერეს, ისევ წამაქციეს,  
ისევ ავდექი და  
ისევ გავიქეცი!  
...ველარ გამაჩერებთ,  
აღარც წავიქცევო,  
ზეცად, მამაღმერთთან,  
ისე ავფრინდები!

## ჩემო რითმებო

ჩემო რითმებო,  
მე თქვენ დაგეძებთ  
და ჩემს სიზმრებშიც  
თქვენ გხედავთ ღამით!  
ოდეს გიპოვით,  
გიპოვით ოდეს,  
სულს ეპკურებით,  
ვით წმინდა ნამი!



\*\*\*

შემოდგომა მიხმობს, გავეყვე,  
 ზამთრის ფერად ავივსო,  
 რადგან ლურჯი ოცნებები  
 წუთისოფელს გამიყოფს!  
 დე, იმზეოს გაზაფხულმა,  
 მონატრება გვაწვიმოს!...  
 ...და ჩურჩულებს შემოდგომა,  
 დაგიმშვენებ მანდილსო,  
 დაგივერცხლავ თმას, სათუთად,  
 ღიმილს ცოტას გაგიყოფ,  
 აღმართ-აღმართ გაგიყოლებ,  
 დაღლილ გულს მზე გაგიტობს,  
 გაზაფხულზე ნამდურ ჰანგებს  
 ციურ ხმებზე ავიწყობ,  
 სამუდამო სასიზმრეთსაც  
 ერთი-ორად დაგიტობ...  
 ...თუკი ლურჯი ოცნებები  
 წუთისოფელს გამიყოფს,  
 თუკი მარტის ლამაზი დღე  
 სასიცოცხლეთს დამიზრობს...  
 ... კარს გაეუღებ შემოდგომას,  
 შემოდგომას რა მიჯობს!  
 სიყვარული? – თმენის თასით  
 აპრილს ცრემლად ვაწვიმო...  
 ...შემოდგომა მიხმობს, გავეყვე,  
 ზამთრის ფერად ავივსო...







## დილის ბინდის ღრუბელი

ღრუბელი ბევრი მინახავს,  
 მაგრამ ასეთი – არასდროს;  
 ღრუბელო, როგორ მიჰგავხარ  
 ნატვრად მოხატულ გაზაფხულს!  
 სანთელს, ერთად რომ ვიწვოდით,  
 სუნთქვას – უებროს, არნახულს!  
 მზემდე აზიდულს გხედავ და  
 მზეც ხარ, ნათელი, საზღაპრო!  
 ჩემი ძებნილი დილა ხარ,  
 ჩემი მიჯნური სადამო,  
 ჩემი ფიქრების მდინარე –  
 სულის წვიმებს რომ გაგანდობ!  
 ო, მართლა, ნატვრის ის ცა ხარ,  
 ის მიწა, ის ზღვა, ის წყარო,  
 სულს რომ ცად აღამაღლებდი,  
 გულს განუბნევედი სინანულს!  
 სიყვარულს ჰგავხარ, რუსთველურს,  
 გალას და ტატოს სადაროს,  
 შენ ჩემი ფრჩხილის ელვა გკლავს,  
 მე – შენი მზერის სამყარო!  
 ნაპარავ რაშზე მინახავს  
 ლეგენდა ესე, საამბო,  
 გულში მზის სხივებს ვინახავ,  
 მითხარი, სად გადაგმალო!



## ყვებიან ზღაპრებს

განველე გზა, ჩემი დიდი სიცოცხლის,  
გრძელდება მაინც...  
ცამდე აწვდილი – ეს ტაძრები, ყვებიან ზღაპრებს;  
განველე გზა, ჩემი დიდი სიცოცხლის,  
მღერიან მაინც ჩემი ბავშვობის  
უტკბილფერეს სიშორის ჰანგებს!  
განველე გზა, ჩემი დიდი სიცოცხლის,  
გრძელდება მაინც...  
სად, უსასრულოდ, ვარსკვლავები  
ყვებიან ზღაპრებს.

## ...და მაინც ვნატრობ თოვას!

გუშინ მოვიდა თოვლი,  
დღეს მენატრება თოვა,  
თოვლი მოდის და მოდის  
და მაინც ვნატრობ თოვას...  
თოვლი... მოვიდა როდის,  
გააფერადა ყოფნა,  
თოვლი მოსულა,  
მოდის,  
თოვლი  
მოვა და მოვა.





## მე მღუმარება მიყვარს სითოვლის

მე მღუმარება მიყვარს  
სითოვლის,  
მე თოვლის ცრემლვა  
სუსხს მიათასებს,  
თოვლი, ყინულით გალადებული,  
გულზე შეყინულ  
დღეებს მიდარებს;  
... და შუაღამის ფერფვლა,  
თოვლისა,  
ჩაექსოვება რა  
ჩემს სიზმარეთს,  
ამახელინებს თვალებს,  
ნაწვიმარს,  
და ვხვდები ასე  
ღურჯღურ ცისკარებს...  
მე მღუმარება მიყვარს სითოვლის,  
მე თოვლის ცრემლვა  
სუსხს მიათასებს!



## ამედევნება სიყვარულად „დილის საარი“!...

ამედევნება სიყვარულად „დილის საარი“,  
როს გავუყვები ერეკლეს აღმართს,  
თუ გული გულობს,  
გზები რა არის?  
რა ზღვამ დაგვძლიოს,  
რა ცამ და რა მთამ?!

ამედევნება სიყვარულად „დილის საარი“,  
როს მივაშურებ ერეკლეს  
აღმართს,  
წლები რა არის, წლები რა არის,  
თუ, სიყვარულის, ვიმარჯვებთ ქარგას?!...  
ამედევნება სიყვარულად „დილის საარი“,  
ოდეს გულისთქმას გაგანდობ ჭადარს;  
ის მზე აქ არის, ის მზე აქ არის,  
ფესვებს რომ უთბობს ერეკლეს ქალაქს!  
ამედევნება სიყვარულად „დილის საარი“,  
მზის ათინათით სული გამთბარა,  
ქვეყნად სად არის, ქვეყნად სად არის,  
ღვთის მადლი წვიმდეს ციურ მანანად!  
ამედევნება,  
ამედევნება სიყვარულად  
„დილის საარი“!...





## სკოლაში

სკოლაში ყველაზე პატარა ვიყავი,  
სკოლით მიხაროდა დილა,  
გასსოვთ, გულყვითელა ჩიტს მეძახდით,  
ახლა მონატრება მტკივა!  
რამდენჯერ დაადნა რამდენი სათქმელი,  
სკოლის საფეხურებს წვიმად,  
სკოლაში – ყველაზე პატარა – მოვჩანდი,  
დიდი სიყვარულის სხივად!!!  
მიყვარდით, გიყვარდით  
და ჩვენს ნაფეხურებს  
ხატავდა მზისფერი დილა,  
სკოლაში ყველაზე პატარა ვიყავი,  
დიდი სიყვარული მზრდიდა!



### ...და მაინც!

არ ვიცი, რა მოხდა,  
აღბათ, დავიღალე,  
დამავიწყდა, რომ სიცოცხლე ტკბილია,  
სიხუმის მორევში ხელი ავიფარე,  
დღეებს დავემალე, საოცრად ფიქრიანს!  
ეს ერთი აღმართი თითქმის ავიარე,  
წლებს ვითვლი სათუთად, მზიანს და  
ნისლიანს...

არ ვიცი, რა მოხდა, აღბათ, დავიღალე,  
...და მაინც...  
რატომღაც...  
სიცოცხლე ტკბილია.





## თებერვალი გულის ფეთქვად თოვდეს

თებერვალი – თოვლნარევი სითბო,  
თებერვალი – თვე, გრძნობათა ალის,  
თებერვალი – უთვალავი ფიფქის  
და ფიქრების მოზღვავების ქარი!!!...  
თებერვალში – მიმთვლემარე ყინვა,  
თებერვალში – თრთოლვა ნისლის... კვამლი...  
თებერვალში თოვლის ქვეშეთს მინდა,  
მოვიტოვო საზამბახე კვალი!  
იები და კესანები თოვდეს,  
შროშანების წვიმით ლტოდეს თვალი,  
თებერვალი გულის ფეთქვად თოვდეს,  
თებერვალი, ჩვენი თებერვალი!...



## ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ?...

ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ?  
მე დღესაც ვლიმილობ მარტო,  
ქარო, კვლავ ჩურჩულებს ბედავ?!  
მე ისევ აპრილით ვხარობ!  
ისევ მიხარია „ხვალე“,  
ისევ ვეფერები ვარდს და  
ისევ მელოდება მთვარე  
ჩემი მზის და ზეცის კართან!  
ქარო, დღესაც ბრწყინავს, დღესაც,  
ჩემი გულისფერად მარტი,  
მერე რა, თუ ზოგჯერ ფერფლავს  
ფანტელისოდენა დარდი...  
ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ,  
ღურჯთვალა იების მზარო,  
ქარო, გამთანგველო, ხეთა,  
ქარო! ო... საბრალო ქარო!







## სალამოს ბინდის ფიქრები

ნეტავ თუ ვჭირდები ვინმეს,  
 შევეუშრო ცრემლები, დარდის,  
 ნეტავ თუ მეძახის ვინმე,  
 გავხვიო იმედის აღში;  
 ნეტავ თუ ოცნებობს ვინმე,  
 ვაჩუქო სიტყვები, ლაღი,  
 ნეტავ თუ მომეღის ვინმე  
 თავისი ფიქრების ნაგში;  
 ... ან იქნებ დღეს უმძიმს ვინმეს –  
 ზიდოს სიმარტოვის ჯვარი,  
 ან იქნებ იღლება ვინმე  
 სიმართლის ბრძოლების ქარში...  
 იქნებ, საარსებოდ, ვინმეს  
 მხოლოდ გაახარებს ბჭკარი;  
 ... ან თუ ვერ გავეცი სიტბო,  
 სხვა რომ იხარებდა წამით...  
 ... ან იქნებ ვიძინებ მშვიდად,  
 სხვა იტანჯებოდეს დარდით,  
 მარტოს გამითენდეს მზისფრად,  
 ვინმე დაიდველფოს ავდრით...  
 ... ან იქნებ მცნებები, ღვთისა,  
 ვინმემ დაივიწყოს ჯავრით...  
 ... ან იქნებ მოსულა ჟამი  
 და მე დაეუკეტე კარი...  
 სულს და გულს, ერთმანეთისას,  
 ობლობის, გავუნელოთ დარდი.



## ცისკრების ხმა

მტრედის ღულუნი მაღვიძებს,  
მერცხლის ჭიკჭიკით ვცოცხლდები,  
მე გაზაფხული მაცვიფრებს,  
ზღვასთან უზღაპროდ ვღონდები!  
წყალი ტაატით ეშვება,  
ხიდზე ირწვევა ფიქრები,  
გულს ვედარაფრით ეშვება  
სასიყვარულო რითმები!  
ვინ იცის, ლექსის მდინარემ  
დამმეწყროს შმაგი დინებით,  
ვინ იცის, სახმილს მიმზადებს  
კვლავ ბედისწერის ზვირთები...  
რა ვქნა, თუ ისევ მზის სხივებს  
ვეამბორები სიზმრებში,  
რა ვქნა, თუ ისევ ბავშვურად  
ხმა მენატრება ცისკრების!  
წყალი ტაატით ეშვება,  
ხიდზე ირწვევა ფიქრები,  
გულს ვედარაფრით ეშვება  
სასიყვარულო რითმები.





## ადმართები უსასრულოდ მიხმობს

დამაგიწყდა, ზამთარი რომ იყო,  
 აივანზე ჩუმ სტრიქონებს ვქსოვდი,  
 ქარიც ჩუმად, ჩუმად მზერად იყო,  
 მწვერვალებზე ციმციმებდა თოვლი!...  
 დამაგიწყდა, ზამთარი რომ იყო,  
 ვეაღერსე ცივ იანვრულ სულთქმას,  
 ავეღევენე რითმა-რითმა მძივებს,  
 შეგცივდაო, – არავის არ უთქვამს!...  
 დამაგიწყდა, ზამთარი რომ იყო,  
 ამემღერა აპრილების დარად,  
 რეკავს ზარი, ისევ, სხვა რა იყოს!...  
 შევუმღერდი, შევხაროდი ადმართს!...  
 ხმები შეწყდა, შევეკედლე სითბოს,  
 გაიყინა ანამღერი ხმები,  
 ადმართები უსასრულოდ მიხმობს...  
 თოვლისფერად ბრჭყვიალებენ თმები!...  
 დამაგიწყდა, ზამთარი რომ იყო,  
 ვეაღერსე ქარბუქიან ღამეს,  
 შეგცივდაო, – არავის არ უთქვამს,  
 მხოლოდ ვერცხლად ჩამომადნა მთვარე!



\*\*\*

მზის სხივი  
სულის სარკმელს  
აწყდება...  
მზე თვით დარაბებს ააელვარებს,  
... მზე მაღლა წერას აუტანია,  
მზე ბედისწერას  
გააფერადებს!!!

## თქვენ

თქვენ რომ მოიწონებთ,  
იმ დღეს მოვიწონებ,  
თავსაც მოვიწონებ,  
მრავლად მოვიგონებ  
ვარდისფერ სტრიქონებს;  
მოვუხმობ მიმოხებს,  
რაც უნდა მციოდეს,  
რაც უნდა მტკიოდეს,  
რაც უნდა, რაც უნდა  
ცრემლები მცვიოდეს...  
იმ დღეს მოვიწონებ,  
თქვენ რომ მოიწონებთ!...





## თოვლა ცაში

თოვლა ცაში  
 და მწყუროდა მიწა,  
 ქარმაც აღარ მიმატოვა წამით,  
 აფერადდა იისფერი დილა,  
 შემაგება ბარათების ზვავი...  
 ბარათებში დამეკარგა სუნთქვა,  
 დაღალული ფიქრით თოვლთან დავრჩი,  
 სად მთავრდება მზის სტუმარი ღამე,  
 ვერასოდეს, ვერასოდეს ავხსნით.  
 ... ძლიერ მიყვარს,  
 ძლიერ მიყვარს ყინვა,  
 ქარბუქი და დეკემბრული დარი,  
 როცა მოძმე იანვარი მიცავს,  
 მე და ღამე როცა ვრჩებით სახლში!  
 ბარათებში დამეკარგა სუნთქვა,  
 დაღალული ფიქრით თოვლთან დავრჩი,  
 სად მთავრდება მზის სტუმარი ღამე,  
 ვერასოდეს,  
 ვერასოდეს ავხსნით.



### ... და იქნებ ისევ გვეძახის თოვლი?

... და იქნებ ისევ გვეძახის თოვლი  
ან იქნებ ჩვენს ტკბილ ფიქრებად სცრიდეს...  
ნაძვის უბეში თრთიან ციყვები -  
ეს თრთოლა ისევ სათუთად მიწვევს!  
თოვლის ხმას ვუსმენ, თოვლი ჩურჩულებს,  
თოვლი მღერის და თოვლი ხმაურობს,  
თოვლი გვეძახის თოვლივით ჩვილებს,  
ფიქრებთან ერთად თოვლიც მატულობს!  
თვალებს აოცებს როკვა, ფანტელთა,  
და მათ მინდობას გული კვლავ ითხოვს,  
დავიბადები ყოველ თოვლობას,  
თუ თოვლისფერად სიცოცხლეს ვიგრძნობ!  
... და იქნებ ისევ გვეძახის თოვლი  
ან იქნებ ჩვენს ტკბილ ფიქრებად სცრიდეს...





## შობის სიზმრები

მე სიყვარული მესაოცრება,  
 ეს გათენება, ეს ქარბუქები,  
 შობის სიზმრები მესათუთება,  
 გულში სიკეთის მზედ დაბრუნების...  
 მე სიყვარული მესაოცრება,  
 ეს გათენება,  
 ეს ქარბუქები...

## „მთვარის სონატამ“ დამეწყრა გული!

„მთვარის სონატამ“ დამეწყრა გული,  
 ვეაღერსები სანთლისფერ დამეს,  
 სამყარო ჩქარი,  
 აღმოდებული, თეთრი გემია,  
 სიცოცხლეს ვანდობ შუქის გრიგალებს!  
 შემოლაქვარდდა სულში ნისლად წამება – ლურჯი,  
 ვესაღბუნები ზღვის ღვთიურ ლანდებს,  
 ჩემი ფიქრები მტრედისფერია,  
 ვემარტოვები ჩაძირულ ნაგებს!  
 „მთვარის სონატამ“ დამეწყრა გული,  
 ვეაღერსები სანთლისფერ დამეს!



\*\*\*

გახსოვთ, რა ღამაზად თოვდა?  
გახსოვთ, ფანტელების ბრჭყვინვა?  
გახსოვთ, ჩვენ და მთვარე  
თრთოლად  
როგორ გაგვიმეტა ყინვამ?...  
გახსოვთ, ვკანკალებდით როცა,  
სულში მზის სხივები წვიმდა,  
გახსოვთ, ვუყვებოდით თვალებს  
ფიქრებს, გულებში რომ სცრიდა;  
გახსოვთ, გაბუტული ქარი  
სად არ დაგვეძებდა დიდხანს!  
გახსოვთ, მოციგავე ხალხი,  
გახსოვთ, ვარსკვლავების დრტვინვა?  
გახსოვთ, იმხელობის დარი –  
ამხელობას კვლავ რომ ბრწყინავს?  
გულის გუმბათებში ზარი  
სიყვარულის ჰანგად გრგვინავს!







## ბედის ბორბალო!

ბედის ბორბალო, აი, ხომ ხედავ,  
 ცას და ქვეყანას ვიტევ ამ გულში,  
 ისევ განვაგრძობ და ისევ ვბედავ,  
 აგიზგიზებას, სიცოცხლის, სულში!  
 ბედის ბორბალო, ამოექანე,  
 ნუ შემაჩერებ ცალმარცვლად ხნულში,  
 მიმოაბნიე და მიმოფანტე  
 კვლავ საძიებლად, რაც იყო გუშინ!  
 შემოიქუხე, ფიქრად დამსეტყვე,  
 ნურც დამინდობ და ნურც მიკმევ გუნდრუკს,  
 მზის სხივს ჩამადნე და აღმაზევე...  
 ...და მეიმედე ხანდახან უძღურს!  
 ბედის ბორბალო, უფერულ სულად  
 რომ არ გადავიქცეთ ერთობ ორივე,  
 იბრუნე ასგზის, ცხოვრების ყოფად  
 შენი სასჯელის ბასრი მომხვიე!...  
 მიყვარს, ოდეს რომ წუთით ყოვნდები,  
 მაღლიერებით თვალებს ვიმზევებ  
 და არასოდეს, და არასოდეს,  
 არ განაცვალებ ღიმილს, იცოდე!



## აპრილის თოვა

როცა წარსული აწმყო ისევ,  
ფიქრის მდინარეც ჯვრისწერას ხატავს,  
როცა თვალებში თვლემენ ნისლეები,  
გულში სხივების სონეტი ატანს...  
როცა ჩურჩულით ფეთქენ ბაგენი,  
იდუმალ მეხთა, მზე ქორწილს მართავს,  
აპრილის მთვარე ნაზამთრალ თვალებს  
შუქმიბინდული ვერხვებში მაღავს!!!!...  
...როცა აწმყო ისევ წარსული,  
ფიქრის მდინარეც ჯვრისწერას ხატავს!





## ვარდის ფურცლებზე

ვარდის ფურცლებზე  
რითმების თავსხმად  
წვიმამ წუთების წიგნი არწია...

...

წვიმს და წვიმისფრად  
მორთულ ეწერთან,  
მეწამულ ფერთა,  
მთვლემარებს ღამე...

წვიმს!

გაოგნდებით და...

წვიმს სულის წამლად,  
წვიმს!!!



\*\*\*

სიცოცხლეში  
სამ დღეს ღაღობს,  
წუთისოფელს  
სტუმრობს სამ დღეს,  
მისი ხილვით  
ყველა ხარობს,  
სილამაზეს  
ნაზად აფრქვევს!  
...სამი დღე ცოცხლობს  
პეპელა,  
ცხოვრებას  
ტრფობით ატარებს,  
ზამბახს, შროშანს და ენძელას  
აღერსით  
თავსაც აყვარებს!





## ლექსის ბაღნარში

დღეს დასვენება დამვიწყებია,  
 სიზმრებსაც, ალბათ, ვერ ვუმასპინძლებ,  
 რაც სიყვარულზე დამიწერია,  
 ვიმღერ და ჭმუნვას გულს ავარიდებ!  
 დღეს ვიმღერებ, რაც არ მიმღერია,  
 დღეს ყველა ნატვრა უნდა ამიხდეს!  
 სული გრიგალით გადაღლილია,  
 ლექსის ბაღნარში დამე გაბინდდეს...  
 ...დღეს დასვენება დამვიწყებია!

## ღამის ხიბლი

მთვარის შუქით დაცხრილულა  
 წამწამების ჩერო,  
 საკეკლუცოდ ემზადება  
 ვარსკვლავების მდელი,  
 ციცქნა ციცინათელები შეფენილან ფერდობს,  
 ღამის ხიბლით მთურალი სიო  
 აღმა-დაღმა ცელქობს,  
 მოიღვარა ძილსაკრთობი ჭრიჭინების ექო,  
 ჩინარების ხეივანში  
 მშვიდად ფშვინავს შხერო...



## წითელი ვარდები

სიზმრად წითელი  
ვარდები ვნახე,  
შემეთხზა რამე –  
ფიქრად ავსახე.  
ქსელვა ვინდომე  
მე ამ ქარგაზე,  
ოღონდაც ლექსად  
და... ისიც ღამე...

\*\*\*

ზღვა და ტალღების რიტმული როკვა...  
ლოტოსი სურნელს აფრქვევდა ნავში,  
სივრცეს არყევდა ღომთა გოდება  
და მათი ბრდღვინვა ისმოდა ცაში!  
თეთრი ჩანჩქერის უკვალავ ბილიკს  
შემოხვეოდა მზის სხივის მკლავი,  
ღეთას ზვირთებში იძირებოდა  
ყველა მითი და ყველა ზღაპარი...





## ჩიორაჩიტი მზეწვია

თუთის ხეს შემოსჯდომოდა  
 ჩიორაჩიტი მზეწვია,  
 ცის ნამი ცრემლად შეენოდა,  
 ჭიკჭიკს მასმენდა სევდიანს.  
 დაბინდებამდე აფრქვია  
 თუთის ხეს ცხელი ცრემლები,  
 ძირით ვარდის შტო ჯავრობდა,  
 უქმად რომ ესხა მხრებს ფრთები.  
 „გაფრინდი, გაილაუვარდე! –  
 ჩაიბუტბუტა ყვედრებით,  
 – ცაში, ზემადლა, აღზევდი,  
 მზის ტრფობით ნუ განელდები!“  
 ... თითქოს ისმინა ვარდის თქმა,  
 ჩიტმა შეიშრო ცრემლები,  
 შემდეგ კამარას გახედა,  
 გაფრინდა სვენებ-სვენებით.



## მაღლი მაცოცხლებს, ღმერთისა!

ზოგჯერ თეთრები მქონია,  
ზოგჯერ – წითელი ვარდები,  
ზოგჯერ ფანდური ყოფილა,  
ზოგჯერ – დუდუკის დარდები,  
ზოგჯერ – კისკისი, უზომო,  
ზოგჯერ – წამწამთა ნამები,  
ხან ივდითობა მშვენოდა  
და ხან შვლის ნუკრის თვალები...  
ხან ნეკერჩხალი ვყოფილვარ,  
ხან ია - ბნელი ხევისა,  
უვარსკვლავებო, უმთვარო,  
არ მშინებია დღენისა...  
გულს სიყვარული ჰკეგბავდა,  
სულში სიკეთე მეფინა,  
განგების სამართალი და  
მაღლი მაცოცხლებს, ღმერთისა!







## ზღაპრები

მარტის ყვავილები თოვლის სურნელით ავსილია  
 და ეს ყვავილები გულში ნაღვლიანად მღერიან,  
 თვალები, თვალები მოლოდინით გადაღლილია,  
 ღამით ვარსკვლავები შორეულ ზღაპრებს მღერიან!  
 მარტის ყვავილები თოვლის სურნელით ავსილია  
 და ეს ყვავილები აცრემლებულ აპრილს ელიან,  
 თვალები, თვალები ზღაპრისფერ შუქად დაღვრილია,  
 ღამით ვარსკვლავები ქარვის ხეივანებში კრთებიან.

\*\*\*

...მე ვუსმენდი აივნიდან  
 ვარსკვლავების კამათს,  
 ჩქარა შენ და ჩქარა მეო,  
 უნდა მოვსწყდეთ ცარგვალს,  
 რათა ნატვრა ავუხდინოთ  
 შეყვარებულ ქალ-ვაჟს!



\*\*\*

ახლაც მახსოვს უნაზესი თოვა,  
ღალი სუნთქვა და ჩურჩულის გროვა,  
ახლაც მათბობს ფანტელებით მკობა  
და გულების მონატრებით ხმობა!  
განა მართლა თოველს ჰგავს სიყვარული?  
მართლა მუდამ შორეთიდან მოვა?  
თოველი – ნაზი, წრფელი სინანულით,  
მათოვს სულში  
და კვლავ როდის მოვა...

### თოველი და ქალი

მზემ დათოველილი მთების ხატება  
განთიადისას გახვია აღში,  
შელამებამდე გადაადნება  
ქალაქს ნაფეხურთ უზღვავი კვალი...  
რას ფიქრობს თოველი მზის ამოსვლისას?  
გული თუ უთრთის, ვით მარტოქალის?  
დიდია თოველის გზა მაღალ მთიდან,  
დიდია, როგორც ცხოვრება, ქალის;  
სიყვარულისფერ ოკეანემდე  
მიღვრებიან თოველი და ქალი...  
ელიმილება ბედს, ოხერტიალს,  
იცრემლებიან თოველი და ქალი!





## იასამანი

მე ჩემს ცხოვრებას  
ვუწოდებ იასამანს,  
ვარდის ფერს,  
ყაყაჩოს სუნთქვას,  
თოვლის სურნელს,  
იების ღიმილს,  
ფრთოსნების ჰანგებს,  
მზის სხივს,  
წვიმის ხმას,  
ფიქრებს – მთებისას,  
ზღვის საიდუმლოს,  
მდინარის ზვირთებს,  
ჩანჩქერის დრტვინვას,  
ბავშვურ სიყვარულს,  
ბავშვის ნატვრას, ბავშვის ოცნებასა და  
თვალუწვდენელ გზას უფლის ბინამდე!



## ამ ხელოვნებას თოვლს როგორ ანდობს?!

ხუროთმოძღვარი მყინვარე დილას,  
 პირველი თოვლით, არც თუ ადვილად,  
 ტაძარს აგებდა, უტასებურად  
 (გახსოვთ, რაც ჰკადრეს უმადურებმა);  
 ვერეს ხეობას ფიფქები ათოვს,  
 ხუროთმოძღვარი ლოლოებს აქსოვს,  
 „ამ ხელოვნებას თოვლს როგორ ანდობს?!“ –  
 გულში გაგივლე და ვთრთოდი, მახსოვს;  
 სინანულისგან მითრთოდა გული,  
 იმ დამით თვალებზე არ მქონდა ლული,  
 მზეს აღეუვლინე ვედრება, წრფელი,  
 რომ არ დაედნო ტაძარი, მწველი,  
 დღეს რომ ააგო ხუროთმოძღვარმა –  
 ყინვის საუფლო, ჯერარნახული,  
 ... და, სიმბოლურად,  
 ტაძრის გუმბათზე  
 პირველი თოვლით  
 მოქარგა გული.





## რწმენა – ნუგეზად!

დასასრულის დრო დგება  
 და ზეცაში აფერინდეთ,  
 ლხენით გული ვიჯეროთ,  
 კვლავ მოუხმით აპრილებს!  
 სულს ვდაფავთ და ვმთავრდებით,  
 ვტოვებთ მითებს, არაკებს,  
 მესმის: „ჯენ!“ „როჩესტერ!“  
 ... და წყვილია გვადარდებს.  
 დასასრულის დრო დგება,  
 დარბაზს გვიწყოფს უფალი,  
 „მტკიცედ! რწმენა – ნუგეზად!“ –  
 სათუთ გულებს ვუთხარით.  
 დასაწყისის დრო დგება  
 და ცხოვრება – მარადი,  
 მესმის: „ჯენ!“ „როჩესტერ!“  
 ... და გულების დაღადი!



## დილის ბინდის ფიქრები

შემოათენდა ცაზე,  
ფიქრი აღვარა ცარგვალს,  
სად ეჩქარება ასე  
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს?  
ცას სწყდება ელვა, ვერცხლის,  
დღე აფერადებს აღმართს,  
სად ქრება, ვინ მოელის  
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს?  
თვალები კრთიან მზერით,  
მზე ბინდის ბრწყინვას მაღავს,  
გავცქერი, სასოებით,  
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს.

## მარტის აკორდი

კოცნა წვიმდა წვიმის ხმასთან,  
წვიმდა გადაუღებლად,  
კოცნა-კოცნით ნაძვებს თავგზა  
აუბნია დრუბელმა.  
ისევ წვიმს და ისევ თავსხმა...  
ზეცა ფიქრად იღვრება,  
მობილიკობს მარტი ნატვრად,  
გვეფერება იმედად!  
ჩვენს ჯინაზე ეს წვიმები  
იქნება და იქნება.





## ის ფერები რა იქნა?

შემოდგომის რტოები –  
 თოვლს რომ მშვიდად ელიან,  
 ყინვისფერი დღეები  
 სივრცეს ეტოლებიან!  
 ცივი ქარის ზღაპარი,  
 დაქანცული ჭადრის ხმა,  
 ვხედავ, მესმის, მათგნებს,  
 ის ფერები  
 რა იქნა?...

\* \* \*

ჩვენ ვზიდეთ ჯვარი  
 უკვე იმ ზღვარის,  
 ხვალ რომ გველის და  
 არ აგვცილდება!  
 ჩვენ სანეტაროდ ვთბებით იმ  
 სანთლით,  
 რომ გიზგიზებს და არ დაიწვება!  
 ჩვენ გველოდება სიმშვიდე –  
 მრავლგზის,  
 საუკუნეებს რომ გასცილდება.



## გაზაფხულის ფერად დაღამებისას

გაზაფხულის ფერად დაღამებისას  
დეკემბერმა მომათოვა თვალები  
და სათოვლედ მომზადებულ ხეივანს  
შევაფარე მზერა, განადარები;  
შეეყინა ფიქრებს ნაზი სულის ხმა,  
ლექსი მოთქმით დაიღალა, ცა – ნისლით,  
მე ქარბუქთან უკვე დავმეგობრდი და  
ახლა ვეღარ შემიგუებს მაისი!

...

გაზაფხულის ფერად დაღამებისას  
დეკემბერმა შემაგება დაისი.







## ჩემი სიცოცხლის შუქი

ზაფხულზე შეყვარებულს  
 მწველი მზის სხივი დამდლის  
 და შემოდგომის ტრფობას  
 ცივი ქარები გამყრის!  
 დამიზამთრდება სულშიც  
 იანვრის ყინვის დარში,  
 მომეჩვენება, თითქოს  
 სიმარტოვეში დავრჩი!!!  
 აპრილზე შეყვარებულს  
 სიყვარული თუ დამდლის...  
 სიყვარული თუ დამდლის?! -  
 ეს რა აღმომხდა, რა ვთქვი?!...  
 უიავარდოდ, უღვთოდ,  
 მერე წავიდე საით?...  
 აპრილო, ვცოცხლობ შენთვის,  
 ამქვეყნად შენთვის დავრჩი,  
 ჩემი სიცოცხლის შუქი –  
 ლურჯი იების თვალი,  
 ატმის ყვავილი, ვარდი,  
 წვიმის ჩურჩული მარტში...  
 ...  
 მე გაზაფხული მათობს  
 და არასოდეს დამდლის!



## შემოდგომის მზევ, ჩემო!

განვეშორებით,  
ეხედებით კვლავ და კვლავ,  
შემოდგომის მზევ, ჩემო!  
გადაგივიწყებ,  
მომავონდები,  
ამონათებ ერთობ...  
იქნებ ზამთრები გაგიმიჯნურდნენ,  
ატმისყვავილისფერო...  
ღამის სუნთქვაში  
შენთვის ანთებულ  
თაფლის კელაპტრებს  
ვერ ვთმობ!  
განვეშორებით,  
ეხედებით კვლავ და კვლავ,  
შემოდგომის მზევ, ჩემო!





## ვარდისფერი ღრუბელი

თვალებში  
თავენება ნისლი  
ჩამდგარიყო,  
ღრუბელი  
სირცხვილით იწვოდა!  
ფერი,  
ვარდისფერი,  
ცისკრად დამდნარიყო,  
გულს  
სასიყვარულოდ  
იხმობოდა!  
სამყარო უღმობლად აღმართულიყო და  
ღრუბელი თავისას ითხოვდა;  
ეს ფერი,  
ვარდის,  
სად იყო, სად არ იყო,  
ღრუბელმა თვალებში იპოვა.



## ღამე ივლისის

ღამე ივლისის,  
ისევ ივლისის,  
დრო მკურნალია?  
ვითომ?  
ვინ იცის...  
გადაგვავიწყებს  
წლები წამებს,  
წუთებს, ქარბუქებს...  
აღვის ხეების სულის ბორგვას  
სად გავექცევით...





## გაზაფხული

გაზაფხული მხოლოდ მარტი,  
 აპრილი და მაისია?!...  
 გაზაფხულობს გული, როცა  
 სიყვარულით აესილია!...  
 როცა წიკვარამ უმთვარობას  
 მზისთვის ცრემლი დაუღვრია,  
 თაკარა მზით გამთბარ ბალახს  
 ვარსკვლავები დაუცვრია!  
 როცა ყინვას უფრთხის ვეფხვიც,  
 ცეცხლმოდებულს ჩერო გირთავს,  
 როცა ზღვაც დულს, ოკეანეც,  
 შენ კანკალი გადაგფითრავს!...  
 გაზაფხული არის, როცა  
 ძლიერ შორს ხარ,  
 სანატრისად,  
 „მიყვარხარო“, – დაუბარო,  
 სუნთქვა გაღაღღს სანამდისაც...  
 ცის კიდიდან მიწის ტრფობით  
 გშვენის შვება ხალისიანს...  
 ...გაზაფხული  
 მხოლოდ მარტი,  
 აპრილი და მაისია?!...



## იასამნების ენთება დილა

იასამნების ენთება დილა,  
გაზაფხულია!  
იდუმალი, ქარბუქობს ფიქრი!...  
წვიმს!...  
სასოებით, აღმართებზე, მზის კვალად მივალ,  
ცისარტყელების ნაფეხურებს იმედად ვითვლი!  
იასამნების ენთება დილა,  
გაზაფხულია!...  
გაზაფხულია, გამეტებით ცად გული ილტვის,  
გამიჯნურებულ იასამნებს თვალთა შუქს ვწირავ,  
აპრილია და, იდუმალი, ქარბუქობს ფიქრი!...  
...იასამნების ენთება დილა,  
გაზაფხულია!!!





\*\*\*

სიცარიელედარქმეული  
საესე სამყარო  
ნახანძრად გულში შეუცნობელ ხმაურს  
ვერ ატანს!!!  
გამოიტირებს მარტივ  
წვიმით გათანგულ ატმებს;  
ნოემბრის სუსხს რომ მოინატრებ,  
ლოდინს – ხელახლა...  
დნება ყინული,  
მოჩვენებაც უნდა გაქარწყლდეს,  
ჩვენ შემოდგომის ყვავილები  
ვპოვოთ ველარსად!...  
სიცარიელედარქმეული  
საესე სამყარო  
ნახანძრად გულში შეუცნობელ ხმაურს  
ვერ ატანს!!!



## კონკორდზე

კონკორდზე შევხვდით ორი ქართველი,  
 სენას ნაპირთან იჯდა გოგონა,  
 მირანდა იყო მისი სახელი,  
 მის ხმაში ჩემი სული ცხოვრობდა!  
 ვუთხარი: „ვცხოვრობ დედაქალაქში“, –  
 თან მოწინებით ვუმზერდი თვალებს;  
 მან თქვა: „მეც – ქართულ, ლამაზ ქალაქში!  
 თუ იცით ნეტავ  
 თქვენ ჩემი მხარე?  
 ის პატარაა, არც ხალხი მრავლობს;  
 ყველა გაურბის იმ არემარეს –  
 ეს კი მას შემდეგ, – დედიკო ამბობს, –  
 რაც უფლის რჩეულთ სული უწამეს!“  
 ...და ყვება, ყვება ამბავს მირანდა,  
 ხან ცრემლებით და ხან ღიმილებით,  
 მეკითხებოდა: „ვინმე გიყვარდათ?  
 სხვაგვარად ნათქვამს ვერ მიმიხვდებით!“  
 – შემდეგ?  
 – რა, შემდეგ?  
 როგორც სჩვევიათ:  
 ზოგჯერ ხომ გმობენ სიყვარულისთვის!  
 ცოცხლად გადარჩნენ, მაგრამ დევნიან,  
 მოსთქვამს მრავალიც სინანულისთვის!  
 როგორ?!  
 ბუნდადაც არ გახსოვთ ნეტავ







მუჭისოდენა ქალაქი, ჩემი?!  
 ტირიფი რომ დგას, მტირალი, ახლაც,  
 ოდეს მზეობდა გული, ვით ზევსი!  
 ტირიფზე ნახავთ ბაფთებს, ხასხასას;  
 მწვანეს, იმ რჩეულთ თვალებისნაირს...

...

...ღმერთო, მაღალო, ვეძებ სად აღარ,  
 მწვანე ბაფთების სიცოცხლის დაისს!...

## ჩემს ბავშვურ ღიმილზე

როგორ მომენატრა  
 თოვა, ფანტელების,  
 ჩემი სუნთქვის ხმაზე  
 ცრემლად რომ დნებოდნენ;  
 ნოემბრის ქარებიც როგორ  
 მენატრება,  
 ჩემს ბავშვურ ღიმილზე  
 შურით რომ ბნებოდნენ!...  
 ახლა თოვლის გუნდამ ხედვა  
 დამიბნელოს...  
 ჭორები?  
 ჭორებზე სიცილით ვკვდებოდე.



## ამ გულის სიტბო

ავანთებ სანთელს,  
მზეზე უფრო მწველსა და ნათელს,  
მთელი სამყაროს სინათლისთვის  
ვილოცებ მარტო!  
ამ გულის სიტბოს  
იმ სულებსაც გაუენაწილებ,  
წყვილიაღში, უღვთოდ,  
მხოლოდ  
ყინვის სიტყვა რომ ახსოვთ!  
ავანთებ სანთელს,  
მზეზე უფრო მწველსა და ნათელს,  
გამოიდარებს სამყაროში?  
– მაფიქრებს მარტო!





## აპრილისთვის

ზეცის ფერად ჩანჩქერებში  
მოფარფატე ფიფქო,  
მომენატრე და მთელ ზამთარს  
უსაშველოდ გიხმობ!  
... დაგივიწყებ შენც, ოდესმე,  
ვით გადავლილ თოვლებს,  
არც აროდეს მოგინატრებ,  
აღარც სიზმრად თოვდე!  
... მაგრამ როგორ არ გინატრო,  
მაგრამ როგორ გთმობდე,  
ნამდვილი გაზაფხულები  
ზამთარს უნდა მოჰყვეს,  
დიდთოვლობას და ქარბუქებს,  
ფანტელების მორევს...  
მოდი, მოდი აპრილისთვის,  
ენძელებიც გთხოვენ!



## ცეცხლი თივაში

ვარდთა სილაჟვარდე  
კრთება  
სულმდეგარი,  
თვალებს  
კათარზისის ცრემლი მორევია;  
გზაზე მიმავალი ჩრდილი,  
უმეცარის,  
მირაუს ექსოვება, ღეთას მორევშია!  
სულთ აღდგომა და  
ჯვართ გარდამოსნა,  
ფერისცვალებათა ფერფლის მორევია,  
ქრისტეს უარესი გვემა,  
რქენა-მოთხრა...  
ჟამთა მდინარება არცრის მომრევია!...  
ვარდთა სილაჟვარდე  
კრთება სულმდეგარი!...





## ზამთრის ფიფქო

როგორ მომენატრე,  
 ზამთრის ფიფქო,  
 მიძნელებ  
 აპრილის თქეშს,  
 კიაფობს დეკემბრის  
 ფერთა სითბო,  
 მე ცრემლად ვიღვრები,  
 შენ?...

## სიყვარული გახართ

იცით, ახლა რას ვნატრობ? –  
 მზეს უყვარდეს საღამო,  
 მთვარეს ცეცხლმა ახაროს,  
 ცისკრის ვარსკვლავს ჰგავხარო,  
 მთებში თოვლი მათბობდეს,  
 ზღვაზე გული დავხატო,  
 სიცოცხლისთვის უფაღმა  
 ნატვრის ცრემლი მაკმაროს,  
 მეძახოდეს არაგვი,  
 მტკვარმა ცრემლად დამღვაროს!  
 იცით, ახლა რას ვნატრობ? –  
 სიყვარული გახართ!



## მზე გათბა

თბილისის თოვამ  
მზე გააოგნა,  
გაოცდა ცაზე  
მზისფერი ხვამლიც;  
ზღვამ  
თოვლის გუნდას  
ჩუმად აკოცა  
და მზეს ჩაადნო  
აღისფერ თვალში!  
ცად თოვლის გუნდა  
მზემ ისაღბუნა,  
გადაექსოვა  
მიჯნურის აღში,  
გათბა, განაზდა,  
აცეცხლდა ღიმიად,  
მზე გათბა ცისკრად  
თბილისის ზამთრით!  
თბილისის თოვამ მზე გააოგნა,  
მზე გათბა  
ცისკრად  
თბილისის ზამთრით!...





## ფერება ფერის

სიცოცხლის მთებზე  
დაითოვლება  
ნათლისფერებად თმები,  
თოვლი – მანდილი,  
თოვლი – ნაფიქრი,  
თოვლი, ნამქერი – მთების;  
თოვლი ნამდერი გულის მარწუხებს  
სანაკადულოდ ეფრქვის...  
ზღვა, მზე და ცაზე  
ვარსკვლავთმეჯლისი...  
... და დიდთოვლობა,  
ნათლისფერობა,  
თმებზე ფერება ფერის.



## ცამ იდარდა

ცამ იდარდა,  
მერე ცრემლად დაიღვარა,  
მეწამულ ფერს აედევნა  
ღრუბელი;  
თუ ჩვენს სულში ოცნებებმა  
გაიდარა,  
აგვიმღერე, გაზაფხულო,  
გულები!  
დამაღვენთე საფიცარი,  
სათნო მზერა,  
დამიღეწე თანამგზავრი შურები...  
ცამ იდარდა,  
ისევ ცრემლად დაიღვარა,  
მეწამულ ფერს ეფერება  
ნუგეში!







## გარდერობში თეთრი კაბა ფრიალებს

გარდერობში თეთრი კაბა ფრიალებს,  
 დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს...  
 ვერაფერი ვერ უშველის იარებს,  
 სიყვარულით თუ არ ვუმზერთ მზიანეთს!  
 რა ვერ მითქვამს,  
 რას იხსენებთ სიამეს,  
 მოდით დროზე,  
 მოგროვდით და მიაბზეთ;  
 აღარ ვეძებ ზურმუხტისფერ  
 გრიგალებს,  
 გვიანდება,  
 თეთრი კაბა ფრიალებს!  
 ცეცხლის ქარში როს ლაქვარდებს მივაგენ,  
 ვხედავ, თეთრი კაბაც როგორ ფრიალებს;  
 მზის გარშემო დედამიწა ტრიალებს  
 და მეც მზისკენ მხრებგაშლილი ვიარებ!  
 აღარ ვეძებ ზურმუხტისფერ  
 გრიგალებს,  
 გარდერობში თეთრი კაბა ფრიალებს!!!



## ღურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა

ღურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა  
და ღვთიური ფერები ქარბუქობდნენ,  
ჯვარცმის ხატთან ჯვარცმის წლები აზვირთდა  
და გულები სიყვარულს მარხულობდნენ!  
გალობდნენ და ანექტრებდნენ ნამზირაღს,  
ლოცვად მდნარი  
სანთლები აღმურობდნენ...  
„ნუთუ ღმერთი კვლავ საავდროდ გაგვწირავს?!“  
– გზად მავალნი ჩურჩულით ფსალმუნობდნენ...  
... და გზა იყო უსასრულო, ნამდვილად!  
... და გზა იყო გზათა მეტი უფრორე!!!  
„გვხატე ხატად, ბედისწერავ, არ გვინდა  
დასასრული, სიყვარული სუფევდეს!“  
ღურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა...





## ახლა გვიანია შემოდგომა

ახლა ასეთია შემოდგომა,  
ტირის ბუნება და დარდიანობს,  
მე რომ დავემსობი სასთუმალთან,  
აი, სწორედ ისე ნაღვლიანობს!  
გულში მრავალ ფერთა მორევია,  
მთებში ქარიშხალი დარდიმანდობს  
და გზას მიუყვება ფოთოლთცვენა,  
რას არ, რაგვარ ზღაპრებს არ იამბობს;  
ახლა ასეთია შემოდგომა,  
ველარ გვცნობილობს და დარდიანობს,  
როგორ ვერაფერი მოგრევია,  
სულთ, ნაქარგო და ნაგრიგალო!  
ახლა გვიანია შემოდგომა,  
ციდან იათ კდემა მომინანქრობს,  
ახლა მზესაც ალტობს ფიქრთა დეღგმა,  
მზესაც ფანტელების სუნთქვა ათოვს.  
ახლა გვიანია შემოდგომა!



## სადამო თვლემს

სადამო თვლემს  
და ვითვლით წლებს;  
ვისხენებთ ბევრს,  
სულ ცოტას ვწერთ  
და როგორც ზღაპარში –  
სიკეთე სძლევეს,  
კვლავ მოვა მაისი,  
აპრილი, მზე!





## ქვის მტვერი

წვიმა ჩურჩულებს  
ვაზის მტევნებთან,  
ვარდისფერ ქოლგას  
ვიფერებ მაღლივს;  
ქოლგას  
ვინ ამჩნევს,  
წვიმის თქეშია...  
ან მე ვინ მხედავს,  
სამეხად დაცდილს!  
იწვიმოს,  
დადნეს თვალზე ნისლები,  
ღვარცოფმა სუნთქვა ნატვრად მიქციოს...  
ოღონდ მესები ცად მღუმარებდნენ,  
ქოლგამ  
დღე ქვის მტვრად  
გადამიქციოს!



## შეყვარებული ქარი

გამომყევიო ცოლად,  
ქალღმერთო,  
მე გადაგიჩინე  
სიცოცხლის ფერებს,  
გამომყევიო, რომ არ გაგთელონ,  
თუნდ უნებურად  
ნამთვლელი, მზეზე,  
შემოგაქროლებ  
ფერად სამყაროს,  
არ დამდღის შენი  
ფარფატი მხრებზე,  
გამომყევიო ცოლად,  
ქალღმერთო, –  
ქარი ჩურჩულებს  
ფოთლის სველ მკერდზე...  
ფოთოლს ჩაესმის სიტყვები, ქარის,  
და ეფიქრება:  
„ქარი და ქმარი?!“





## ღამაზი ბავშვობა

სიცხით მახოდებდეს, მინდა,  
ისევ ბატონები მჭირდეს,  
ბაბო ლოცულობდეს ხატთან,  
დედა სასთუმალთან იჯდეს!  
მინდა, მახველებდეს მძლავრად,  
პაპა საღამურებს თლიდეს,  
მამა, ჩამობარდნილ თოვლში,  
დებს რომ გვიმზადებდეს ციგებს!  
მერე – ახალი წლის დილა,  
გოზინაყები და წვიმებს –  
ვერცხლისფერს – ვართავდეთ,  
ნაზად,  
ტყიდან მოწვეულ ნაძვისხეს!  
მინდა, კვლავ სტუმრების ღიმილს,  
სიმღერას, ეალერსოს სივრცე...  
ღამაზი ბავშვობა მინდა,  
რომ დაბრუნდებოდეს ისევ!



# ფერისცვალება



## ფერისცვალება

მე დავიბადე აგვისტოში,  
ივნისში, მარტში,  
მე დავიბადე სექტემბერში,  
მაისში, ვარდთან!  
მე დავიბადე ნოემბერში,  
იანვრის ღამეს,  
ოქტომბრის მზის ქვეშ დავიბადე,  
ივლისის ზღვასთან!  
მე დავიბადე  
ლურჯ აპრილში,  
წვიმის წვეთებად,  
ყინვის ლოდებზე დავიბადე,  
თებერვლის ქართან...  
... მე დეკემბერში მოგვევლინე  
დედამიწაზე,  
პირველთოვლობას,  
პირველ თოვად,  
მზით გამთბარ ქალად!







## აგვისტო

დილას, სისხამზე,  
მასხარა  
მზემ -  
მობრძანდება  
აგვისტო,  
სამახარობლოდ მიბოძებ  
შენი სიცოცხლის ნაწილსო!...  
... უკვე  
ორმოცდათხუთმეტი  
ფერისცვალების აგვისტო!

## ფერისცვალება 49

მთვარე ოთხჯერ გადავერცხლავს  
ლაუვარდს,  
საუკუნის ნახევარს  
დროს ვატან...  
ვარდს მანანად ესაღბუნა ცვარი,  
სიცოცხლეა მეტად სანუკვარი!...  
49 ჯერადია შვიდის  
და მრავალ ტომს კიდევ გადავშლიდი.  
მადღეგრძელებთ მწვანითა და ვისკით,  
ჩემი გულის დიდ ჭიშკართან გიცდით!



## ფერისცვალება – 50

მე, ნაფერები, მოვდივარ გზებით  
 და საუკუნის მეორედს ვხვდები,  
 მთაწმინდის ცასთან ვიღვიძებ, მზეთში,  
 არ მიმღვრევია სიცოცხლის წვეთი!  
 ამოვიქარგე გულზე სიკეთედ,  
 რასაც მშობლები სულში მიფრქვევდნენ,  
 მე გავიზარდე არწივთა ფრთებზე,  
 ვლალობდი ლომებ-ვეფხვების მხრებზე!  
 ჩემს იუბილეს იხსენებს რიწაც,  
 იქ მადღერძელეს მამამ და ბიძამ!  
 მიხანგრძლივებდა დედა ბავშვობას  
 და წინანდალთან არ დამაშორა!...  
 მუდამ მილოცავს მზე, საამურად,  
 ფერისცვალებას – წმინდად, მარხულად!  
 მეგობრებისთვის არ ვზოგავ სუნთქვას,  
 ჩვენ უანგაროდ ვუწილებთ სულთქმას!  
 მეგობარია სიმდიდრე, ჩემი,  
 მისთვის სიკეთე – შარავანდედი!  
 დავბადებულვარ, როცა გათენდა,  
 უყვარს ცხოვრებას ბევრი დათმენა!  
 საფიცრად მახსოვს, სანამდე ვივლი,  
 ჩემი ქვეყანა და ხალხი – ტკბილი!...  
 წრფელი ღიმილით დღენი მივლია,  
 ჩემი გულისთქმა სიყვარულია!  
 ... და ამიტომაც მთელი სამყარო  
 ჩემთვის აღთქმული სიხარულია!





## დღეს ხუთ ათეულს გავაცილებ მაჟორნოტებით

დღეს ხუთ ათეულს გავაცილებ  
მაჟორნოტებით!...  
თეთრ ვიოლინოს ავაუღერებ  
მშვიდი სონეტით...  
... და საუკუნის  
ნახევარსფეროს  
მზისფერ თილისმად  
ჩავექსოვები!  
ბოლოს აღვმართავ  
ცისკენ ხელებს და  
ისე უბრალოდ  
კი არ მოვეკვდები,  
იის სურნელით ნათრთოლებ მიწას  
ჩემი გულისფრად ჩავეკონები.



## ვიდრე ხარ

ერთი ღამეში ლეგენდა,  
ერთი ღამეში ზღაპარი,  
ერთი ღამეში სიტყვა და  
ერთი ღამეში ამბავი  
უნდა დატოვო, ვიდრე ხარ,  
ვიდრე ჰყოფ სოფლის საკანში,  
ვიდრე სული და სუნთქვა ხარ,  
ვიდრე პარკალებს ღამპარი,  
ვიდრე გულს ფეთქვად უღირხარ,  
ვიდრე ჩანაცრდი ღაღარში,  
უნდა დატოვო, ვიდრე ხარ,  
ერთი ღამეში ზღაპარი.





## გვიანგაზაფხული

ნუშის ყვავილობით,  
ჩუმად, მოკრძალებით,  
თითქოს სათუთად და  
თითქოს გამალებით,  
წვიმის არომატით,  
იის ამობარდნით,  
მთებით მობილიკობს  
სულის სავანეთი!  
ფერებით -  
მწვანეთი,  
ჰანგებით – ხავერდით,  
ნანატრი აპრილი,  
გვიანგაზაფხულის!



# ღამზადებულ, დღად ღამზად, ვინბლთ სიცოცხლუ კვლავ ღამაბედ!



## თუ „იავნანა“ გელიდინება...

თუ გაიყოლე ნანატრი მზერა  
და თუ ლომგულში კელაპტრად ბრწყინავ,  
თუ აღიონზე თეთნულდი გიხმობს,  
უშბა გიგზავნის კოცნების წვიმას,  
თუ დაგოგმანობ ოქროს ქოშებით,  
თუ ვარსკელავეთის შუქი გაღვრია,  
თუ რქაწითელი ჯიხვის რქას ათრობს,  
რომ დაგელოცოს გული მადლიანს,  
თუ მთვარის შუქი სიზმრებს ჩააქსოვს  
თვალებს – თაფლისფერს, თვალებს –  
სანთლიანს,  
ჭადრის ჩურჩული თუ გაგახსენებს  
ბავშვობას, ღაღს და მზიანდარიანს...  
თუ „იავნანა“ გელიდინება,  
არღნიან ღხენის სინარნარი ხარ,  
ამქვეყნად მხოლოდ  
სიყვარულისთვის  
დაბადებული მინანქარი ხარ!





## ქალის ვედრება

დამბადებელო,  
დედად დამბადე,  
ვინძლო  
სიცოცხლე კვლავ დამაბედო!  
დამბადებელო,  
ლოცვად აღმანთე  
და სიყვარულად  
არ გამანელო!  
უსიყვარულოდ  
არც ეს სამყარო  
და თვით სამოთხე  
არ მომაჩვენო!



## ქალი

ძღვეამოსილი ქმნილება, ქალი...  
 ქალი შობს, აგებს, ქალი ქმნის, ბადებს;  
 ქალი – სიკეთე, ქალი – მოვლენა,  
 ქალი წყაროა პირველყოველთა!  
 ქალი – საწყისი, უსასრულობა,  
 ქალი ძალაა, ქალი ღონეა,  
 ქალია აზრი, სათუთი მზერა,  
 თვით ღვთისმშობელიც ქალია, დედა!  
 ქალი მზეა და ქალია ყველგან,  
 ქალი მზრუნველი, ბურჯი და კლდეა,  
 ქალი – გვირგვინი, ქალი – ზმანება,  
 ქალი – ოცნება, ქალი – ღვთაება!  
 ქალია ძალა, ქალი – იმედი,  
 ქალი – შუქი და ქალი – ნუგეში;  
 ბალახზე ცვარი ცრემლია ქალის,  
 ავდარი, დარი გრძნობაა ქალის!  
 ქალია ზღვაზე ტალღების სუნთქვა,  
 ქალია, ქალი, სიცოცხლის მუზა;  
 ქალი რწმენაა, ქალი ღხენაა,  
 გულის ფეთქვაა, აღმაფრენა!  
 ქალია, სულში რომ სახლობს უფლად,  
 ბუნებით ქალი ქალია მუდამ;  
 მუდამ და მუდამ... მუდამ და მუდამ...  
 ... და რადგან ასე განგებას სურდა,  
 სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის,  
 სიყვარულისთვის ცოცხლობს და სუნთქავს!







## ქალს

ქალს ისე უყვარს სიცოცხლე,  
სიცოცხლეს მრავლად ბადებს,  
ქალს ისე უყვარს სიკეთე,  
მადლს ქვაზეც ღხენით დასდებს!  
ქალს ისე უყვარს სინაზე,  
დუმილს არასდროს არღვევს,  
უყვართ სიმღერა ქალებს და  
ღეჭვებს ღიღინით თხზავენ!  
ესმის გულთ ძგერის ანბანიც  
გულელებთან მონიაექრეს;  
ქალს მეტად უყვარს ღიმილი -  
შუბლ-სახეს ამზიანებს!  
სიყვარულითვე იბრაზებს,  
სადაც შურს უქარგავენ;  
ქალს მაინც უყვარს,  
ქალს არ სძულს,  
უყვართ და უყვართ ქალებს!



## შენ ჩამიჩუმიც გატკობს

არასდროს არ ხარ მარტო,  
სევდას არ ჰგაუდე სულაც,  
შენ ჩამიჩუმიც გატკობს,  
შენ ერთადერთობ გულთან!  
არასდროს არ თქვა: „ვნადვლობ“,  
არასდროს განდგე შუქთან,  
სანამ სისხამზე, ნათოვს,  
შენს სახელს ქარგავს მუზა!  
არასდროს არ ხარ მარტო,  
ცის თენებევით სათნო,  
შენ, ერთადერთი ქალი,  
მთელი სამყარო, ამ დროს!



# ჩემი სულის სანთლები



## შვილები – ჩემი სულის სანთლები

ჩემი სულის სანთლები,  
პაწაწინა შვილები –  
მზის სადარი თამარი,  
ბექაბაგრატიონი!  
ხან თუ გამაჯავრებენ,  
გულსაც ხომ მიხარებენ,  
მათ სასთუმალს ვდარაჯობ,  
ფეხიზლობ, თითქმის დილამდე!  
უცნაური ტიტინით  
მანიჭებენ სიამეს:  
„თამარ მეფე ვინ იყო? –  
მთხოვენ, – ჩქარა, გვიამბე!  
რად ებრძოდნენ თურქები  
დავით აღმაშენებელს?  
მშვიდად რად არ ეძინათ  
გორგასალს და ერეკლეს?  
რად მოაჭრეს მარჯვენა  
სვეტიცხოვლის მშენებელს?  
რად მიჰყავდათ ცხირეთში  
ურჯულთებს თევდორე?  
ბრძოლის ველზე გმირები  
„შავლეგოს“ რად მღეროდნენ?  
ჩვენოდენა ბავშვების



დედები რად კვნესოდნენ?...“

– სააკაძის ფარ-ხმალი,

მე მითხარი, სად არის?

– ამბობს ბექა-ბაგრატი,

– მინდა, გავხდე სარდალი!

ნუ, ნუ სტირი დედიკო,

უნდა გითხრა მართალი,

მე ვუშველი ქართველებს

უზარმაზარ ლაშქარით!

– ნეტავ როდის ვიხილოთ

ერი, თვითადღგომილი...

– იცრემლება თამარი,

ხატის წინ დამსობილი!

... და ვუყვები პატარებს,

სიმართლეს არ ვუმაღავ,

თორემ არ დამიღვევენ

საყვედურებს, უთვალავს...

ბოლოს იმედს ვიძღვევი:

„ვერ იხილავთ იარებს,

სიკეთის გზით თუ ივლით,

მამულს პატივს მიაგებთ...“

პატარები ნატრობენ

გამოწვდილი ხელებით –

„რად არ გაეჩნდით იმ დროში,

როცა გაჩნდა წყნეთელი,

ცხრა ძმა ხერხეულიძე,

ქართველთ გმირი ცოტნე,

სამასი არაგველი

ან რუსთველის მოყმე?...





- სააკაძის ღაშქარში  
მოხვდებოდი მყისვე!  
- მე თამარს შევფიცავდი  
ერთგულებას, მტკიცედ!...“  
... ვაიმედებ პატარებს:  
„არც ახლათ გვიან,  
თქვენს დროს იამაგდარეთ,  
დროს გისურვებთ მზიანს,  
ერთგულება სწყურია  
ერს, მიწამადლიანს,  
რომ კვლავ აღსდგეს ქვეყანა –  
ბედნიერი ხანის –  
გორგასლიან-დავითიან-თამარიან!  
ამინ!!!“



## ჩემს თამარს

ლამის იებმაც დაიჯერეს, აპრილიაო,  
ისე ლოცავდა სისხამდილით მზე დედამიწას,  
იბადებო მზეთამარი, ნაკამკამარი, –  
დედას ახარეს მზემ, წვიმამ და თოვლის ფანტელმა!  
ღვთაების ზარი მოედვარა ფიქრის ქარაფებს,  
იბადებო მზეთამარი! –  
ზეცა ზანზარებს!  
იბადებო ჭკუით ბრძენი, გულით – ნათელი!  
– ღვთისმშობელმა და თვით უფალმა  
დედას ახარეს!  
... სულ უსწრაფესად პირჯვარს იწერს,  
თავს მზეს ადარებს!  
„მე ქართველი ვარ!“ –  
ღრუბლებს მადლა, ცაზე დააწერს!  
„მე ქართველი ვარ!“ – დედამიწას გადმოაძახებს!  
ყოველ ცისმარე,  
მიყვარხარო, – დედას ახარებს!





## ჩემო დათა

მოგიზგიზე კელაპტარო,  
 ჩემი გულის სხივო, დათა,  
 ბებია და შვილიშვილი  
 დილას მზემ რომ დაგვინახა,  
 კიდევ უფრო გაბრწყინდა და  
 უსაზომოდ გაუხარდა!  
 ჩემო ტკბილო საფიცარო,  
 მანუგეშებელო დათა!  
 ქვეყნად შენზე ლოცვითა და  
 შენი სიყვარულით დავალ!  
 შენ დაგლოცოს უფალმა და  
 გვარავდეს დეთისმშობლის კალთა!

## ჩემი ნენე

ზეცამ დაბადა ცისკრის სხივები, -  
 შენ გგვანან, ნენე!  
 დილამ დაბადა ახალი იმედი, -  
 სულ შენ გგავს, ნენე!  
 ახალშობილ მზეს ლოცავს ბუნება –  
 ის შენ ხარ, ნენე!  
 საქართველოში, საქართველოსთვის,  
 ქართული სულის მშვენიერებად,  
 შენ დაიბადე, უტკბესო ნენე!



# მცკვარი „ნანას“ დედუნებს!



## მეგობრებს

ელბაქიდის აღმართზე  
მიყვებოდი გზას,  
ლისს იქით და ლისს აქეთ  
მეგობართა რაზმს,  
იმერელი გოგონა  
მიმწვენებდა მხარს,  
ვუმღეროდით სიყვარულს,  
წმინდა გულისთქმას!  
მთაწმინდაზე ისმოდა  
ჩუმი ლოცვის ხმა,  
ვაღაგებდით კრძალვით  
მიხაკსა და ვარდს!  
„მზიურ ქალაქს“ ვაღმერთებთ,  
დუმბადის ნიჭს, მადლს,  
გულწრფელად ვიზიარებთ  
ერთმანეთის დარდს!  
რუსთაველზე, ქვიშაზე,  
ყავა დუღდა ნელა,  
რომ ფსკერზე წაგვეკითხა  
ჩვენი ბედისწერა...  
ნარიყალას კალთებზე  
ისმის „ღალეს“ მღერა,







მზეც მდეროდა: „ქართველნო,  
ერთად! ერთად! ერთად!“  
ქართლის დედას ვუწოქებთ,  
გორგასალის კვალს,  
ფიცს ვიძლევიტ, უმტკიცესს,  
ჩვენც მოვიხდით ვალს!  
ვერეს ბაღში იდუმალ  
ჩანახატებს ვთხზავთ,  
ძველთბილისურ აივნებს  
ვერ ვაშორებთ თვალს!  
ქვაშვეთში კი სანთლები  
გიზგიზებდნენ მწველად,  
ღმერთთან ვტოვებთ სინდისის  
და ნამუსის მძეველად!  
...მტკვარი ნანას დუდუნებს,  
თან „შავლეგო“ გრგვინავს...  
ნეტავ რა დამავიწყებს  
იმ სანუკვარ დილას...  
დღეს ფაქიზად გავშალე  
მოგონების ძაფი,  
მომაწვდინეთ ეგ ხმები,  
თორემ ვკვდები დარდით!



\*\*\*

ახლა ჩემს თბილისს  
ფოთოლთცვენის მეჯლისი არწევს,  
ფიქრების თრთოლვით შევწურწულე  
ერეკლეს აღმართს...  
შემოვიტოვე, ნაზამთრალი,  
შუამთის დამეს,  
შევეგებები, დაღალული,  
მთაწმინდის აღმართს...

...

ახლა ჩემს თბილისს  
ფოთოლთცვენის  
მეჯლისი არწევს!!!!...





## სვანეთი

სვანური გულის ენაა,  
 კოშკებში უფლის სულია,  
 კლდეები, გზა და აღმართი  
 მთვარემდე აზიდულია!  
 სვანური ითქვა პირველი,  
 სვანური მზე ზღაპრულია,  
 ცა, განთიადის, სვანეთში,  
 ამღერებული გულია!  
 სვანეთში შურთხი მშფოთვარობს,  
 ქორბუდას უხმობს,  
 დამზრალი,  
 მთებში ბრიალებს ნისლებად  
 ღრუბელთა ტრფობის ხანძარი!  
 სვანეთი ლამპრობს და ლაღობს,  
 მყინვარ თეთნულდზე აზრდილი,  
 სვანეთში კოშკებს სდარაჯობს,  
 ლატფარს რომ სახლობს არწივი!  
 სვანური გულის ენაა,  
 ანგელოზების ნატვიფრი,  
 ფიქრია, დამისთევაა,  
 აფეთქებული აპრილი!  
 სვანური ლოცვის ენაა  
 და სიყვარულის ნაპირი!



## ...მაგრამ ქართველი უმეგობროდ თავს ვერ გაიტან!

უგურჯაანოდ საქართველო ჰგავს ურწყავ წალკოტს  
და უთელავოდ – უმზისსხივოდ დამზრალ განთიადს,  
რა იოლია, იარსებო, შენ, უყველაფროდ,  
მაგრამ ქართველი უმეგობროდ თავს ვერ გაიტან!  
აი, აღსრულდა საუკუნე – უკვე მრავალი,  
რამ აღგვამადლოს, თუ არ ძალამ, სიყვარულისამ,  
რამ გვაძლიეროს, თუ არ ვთესეთ ძმობის მარცვალი,  
თუ არ ვაქვებდეთ ერთობის მადლს,  
ხმალს - ირაკლისას!

ეს საქართველოს საფიცარი სავანეთია -  
ძველი ქალაქი, გიგოს გორა და ყველაწმინდა,  
აჟღარუნებდნენ ხმლებს გმირები დაბადებიდან,  
ალაზნის ტალღებს ერისკაცთა სისხლი აწვიმდა!  
უგურჯაანოდ საქართველო ჰგავს ურწყავ წალკოტს  
და უთელავოდ – უმზისსხივოდ დამზრალ განთიადს,  
რა იოლია, იარსებო, შენ, უყველაფროდ,  
მაგრამ ქართველი უმეგობროდ თავს ვერ გაიტან!



# შტამით ვერქამლოთ სამშობლოს



## ახალი წელი მობრძანდება

ახალი წელი მობრძანდება ახალ იმედად,  
ახალფერებად აენტება გული ამ ღამეს,  
ახალ სიცოცხლეს, ახალ დილას, ახალ გაზაფხულს,  
ახალ ქორწილებს, აღმაფრენებს, ველით ახალ წელს!  
ახალი წელი მობრძანდება და ახლა დროა,  
აღვმართოთ თასი ნუგეშით და იმედით საგსე,  
დავლოცოთ ქვეყნად სიკეთე და ნამდვილი ძმობა,  
არ დავიდალოთ მოფერებით ჯადოსნურ ღამეს!  
ახალი წელი მობრძანდება, დაიწყო თოვაც,  
ახალი ფიქრით  
აშუქებენ თვალები სხივებს,  
ახალი წელი მობრძანდება,  
მშვიდობით ღოცვა დაჰბედებოდეს  
საქართველოს – ღვთისმშობლის წილხვედრს!  
ახალი წელი მობრძანდება და მუდამ მოვა  
ახალი სიტყვა, აზრი, ნიჭი, სიბრძნე, სიკეთე,  
ახალი ძალით შევიყვაროთ სწავლა და შრომა,  
მთელი მსოფლიო განაცვიფროს ქართლის სიქველემ!  
ახალი წელი მობრძანდება და ახლა დროა,  
აღვმართოთ თასი ნუგეშით და იმედით საგსე,  
დავლოცოთ ქვეყნად სიკეთე და ნამდვილი ძმობა,  
არ დავიდალოთ მოფერებით ჯადოსნურ ღამეს!



## მეგვლეს დალოცვა

შემოვდგი ფეხი,  
გვწყალობდეს ღმერთი,  
სანუგეშებლად  
ვიცხოვროთ უნდა,  
რამეთუ თვალწინ  
ოცჯერ ასი და  
კიდევ  
მრავალი წელი დადუმდა!  
რა პატარაა, რა მცირე,  
მწირი,  
ცხოვრება – ჩვენი, დღეების გუნდა!  
შემოვდგი ფეხი,  
გვწყალობდეს ღმერთი,  
სასიყვარულოდ  
ვიცოცხლოთ უნდა!





## 9 აპრილი 1989 წელი

ლექსს არ მოგიძღვნი, აპრილო,  
 ღირსად არა გთვლი მაგისად,  
 გმირთა სიმრავლედ გეყოფა,  
 მარტო თამარი რად ღირსა...  
 ბიძინა, შალვა, ელიზბარ...  
 გადაგვავიწყე ლამისა,  
 მარაბდა, დიდგორ-კრწანისის  
 ხსოვნის ნათელი გაბინდდა!  
 ჰეი, თქვენ, არაგველებო!  
 არ მოგიშუშდათ იარა?  
 აპრილის კენესა არ გესმით?!  
 კერძად ჩავეარდით მტრისადა,  
 დაჩეხეს ყრმანი, რამდენი...  
 ისინი მზემ აღითვალა...  
 ნუგეშსაც ვერ გავუბედავთ  
 სისხლისფერს, ჩვენს თბილისქალაქს...  
 გამოიმძღვარეთ ცხრა ძმანი,  
 მტერს მოვევლინეთ რისხვადა,  
 მაგათ თუ არ ვებრალებით,  
 ჩვენ შევიბრალოთ რისადა?!...  
 ...გლოვისფერ კაბით მოსილო,  
 შოთა რუსთველის გამზირო,  
 მიმიძიმს, ცრემლის ზღვად გიხილო,  
 უღმობელი ხარ, აპრილო!



## ასეთი საქართველოც მასხოვს

შემოდგომის ფოთოლივით ფეთქავ,  
დაგშრეტია სიდიადე, მიწის,  
მწარე ცრემლი გლოვობს წარსულ დღეთა,  
ქართლის დედა შენს ღოცვაში იწვის!...  
ვინ გაღესოს გორგასაღის ხმალი...  
ტატოსავით ვის აწყლულებს ბედი...  
ვინ გვიბოძოს იმედები, ხვალის...  
ვინ შეგიკრა ზესავალი გზები...  
ერთო ღმერთო, ერთადერთი ნატვრა  
შეისმინე, წინაპართა ძელების,  
დაგვაფარე შენი ღოცვის კალთა,  
მოუშუშე საქართველოს ფრთები.







## ამაღლდი და აღორძინდი

ამაღლდი და აღორძინდი,  
 დაღალული აღსდექ,  
 შენს ანბანზე შემოსძახე  
 „ჩონგურო“ და „შავლეგ“!  
 გამთლიანებულ წალკოტში  
 გემზეგრძელოს მშვიდად,  
 „მრავალუამიერ“ გვასმინე  
 აღზევების ნიშნად!  
 გვამძლავრე და გაგვიშალე  
 კახეთური სუფრა,  
 შენს ტაძარში გვალოცვინე  
 ამაღლებულ სულთან!  
 ერო, ბერო, ყრმათა აკენებს  
 ღვთისმშობელი გვირწევს,  
 ცა, ფირუზის, მადლით მიწას –  
 ზურმუხტისფერს, გვიკმევს!  
 მამულს ზრუნვას ნუ მოვაკლებთ,  
 მზით გაუთბოთ სული,  
 იმედით და რწმენით ერთობ  
 აღსილიყოს გული!  
 გაგიმარჯოს, საქართველო,  
 მუხავ, წვდილო ცამდის!  
 იღლეგრძელე! იკაშკაშე!  
 იცისკროვნე!  
 ამინ!



## ვინ მოსთვლის

გარეთ გახედვაც არ მინდაო, –  
ფიქრობდა გულში...  
გულში, რომელიც სავსე იყო  
სიკეთის შუქით;  
გარეთ ელოდა დამცირება  
და ჯვარზე გაკვრა;  
იჯდა ოთახში გენიოსი  
და ლექსებს თხზავდა!

გარეთ გახედვაც არ მინდაო, –  
ფიქრობდა მარტო,  
სულგანგმირული ხეიბარი,  
ღმერთის სადარო,  
განძეულიდან არ ისურვა მცირედიც,  
რადგან  
ეკრძალებოდა შეცოდება  
განკითხვის უამად.

„გარეთ რას ვეძებ,  
თუ მზეს ქებით ვეღარ  
დავხვდები“, –  
ფიქრობდა,  
ოდეს ენთებოდა დილა, ხასხასი;  
ფიქრობდა ძილშიც, ცხადშიც მუდამ  
ასე ფიქრობდა:





„არი მკვლევლობა, არი ომი, არი ხანძარი!“

თუმცა ეძახდა დალოცვილი ველი, კახეთის,  
იყო თავისი დედაერის დიდი მგოსანი;  
გარდაიცვალა მაინც უღვთოდ,  
სიმარტოვეში,  
უბრალოდ, როგორც ერთი კაცი,  
ნაშამქორალი!

. . .

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენის გულს  
დასცა დამბაჩა,  
გამხეცებულმა ადამის ძემ,  
გენით მტარვალმა!  
...ბოროტი ზეობს,  
ისწავლება ქალთან და ბავშვთან...  
მამულიშვილი,  
ერისკაცი...  
ვინღა გადარჩა...



## გლქის სიბრძნე

ეს სვავრიელი ქვეყანა  
სხვისგან რად სარჩენიანო,  
გახედეთ ველებს, მთა-გორებს –  
მტრისგანაც საქებიანო.  
შრომით ვუწამლოთ სამშობლოს,  
დავრდომილს, თვალცრემლიანსო,  
ეგებ წამოდგეს საბრალთ,  
სხვებზედაც უკეთ იაროს!  
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,  
ქვიშანი დარჩებიანო“,  
ხელიც ჩავჭიდოთ სამოყვროდ,  
ვიდრე არ არის გვიანო,  
გულიც გავუთბოთ ერთმანეთს,  
მეტი რა დავგვრჩენიანო!





\*\*\*

დაიკენესა მწუხრის ზარმა,  
ნაღვლის წამლად მოიდგარა,  
ღრუბლებს მიღმა მთვარემ, ზანტმა,  
ვერცხლის შუბლი მოიხარა.  
ცის ტატნობის ბინადარმა  
სული, თვისი, მომაბარა,  
ლოცვის ცრემლმა, მოდინარმა,  
განთიადი მომიტანა.

\*\*\*

ზამთარს  
არასდროდ დაუგვიანია,  
ზაფხული  
მოლოდინით გვაგვსებს,  
წარმოვიდგენიათ,  
ცეცხლის მზის ლოდინი?  
თან უმზერ  
გაყინულ თვალებს!...



## ოდესდაც საქართველოში

ნისლის მარმაში გახვეულა  
ტაძრის გუმბათი,  
ცრემლად იღვრება კელაპტარი  
ღვთისმშობლის ხატთან,  
ო, სალოცავო, თეთრო გედო,  
ხვდები გუმანით,  
რა განსაცდელი დაგვდგომია  
გელათის კართან?...  
შენკენ მოვილტვი, ალავერდო,  
სარეკად ზართა,  
შენთან მოვუხმობ ყველა ქართველს,  
საბრალო ძმათა,  
რათა შეგთხოვონ პატიება  
მავანთ და მავანთ,  
რომელთ სამშობლოს აცრემლება  
ედებათ ბრალად!





## ჩემო საქართველო

ძალმიღეულა მზე,  
 შემოდგომის,  
 არც რა ანაღვლებს  
 დალოცვილს...  
 ის კვლავაც მწვავედ  
 აბღღვრიალდება  
 ზამთრის გრძელ ყანწს რომ  
 გამოსცლის!  
 შენ როსლა იბრწყინებ,  
 ჩემო საქართველო,  
 რა მოგდის?!... რა მოგდის?!...  
 რა მოგდის?!...

\*\*\*

დღეს ზვიადობდა  
 ფერები, ცისა,  
 ცა იყო  
 ცაზე უფრო დიადი,  
 ... და არასოდეს მინახავს  
 ამფრად  
 საქართველოს ცა  
 მზეზე ზვიადი!!!...



## უნაზეს სულს უწამლეთ

„იის კონებს არ იყიდით, დეიდა?“ –  
მევედრება იისთვალა გოგონა,  
მთავაზობდა იებს ციცქნა ხელი და  
გულსაკლავად, გულთან ახლოს მოჰქონდა!

...

გამოართვით, ვიდრე ია დაჭკნება,  
ვიდრე ცრემლი ჩაუდგება ლურჯ თვალებს,  
შეეშველეთ პაწაწინა მარჩენალს,  
პაწაწინა, უნაზეს სულს უწამლეთ!

## მე კი ვდარდობდი...

ვერხვის ფოთოლმა ვერესთან  
გულქვად მოიკლა თავი!...  
ფითრისფრად გადავიქეცი,  
ირგვლივ წიოდა ქარი!...

...

...ქვაშვეთთან ბავშვმა მირჩია,  
მეჩუქებინა ღარი...  
მე კი ვდარდობდი,  
ფოთოლმა  
რატომ მოიკლა თავი!...







## გადაგვარჩინა

გადაგვარჩინა ქვეყნად და ერად,  
 არ გადავშენდით უღვთოდ, უნიჭოდ,  
 საქართველოს ცის, მზის უკვდავებად,  
 გადაგვარჩინა რწმენამ, უძირომ!  
 ძმობით, ერთობით და სულგრძელობით  
 არ გავიწირეთ უმამულშვილოდ,  
 გადაგვარჩინა დედამ, ქართლისამ,  
 თამარის დროშამ, ჩანგმა – უბიწომ!  
 შვილები ვზარდეთ ქეთოდ, დავითად,  
 ბექად, თამარად, შიოდ, იესოდ,  
 აკვანი ვთაღეთ დედათ საფიცვად,  
 საიავნანოდ, საბედნიეროდ!  
 გადაგვარჩინა ირაკლიმ, ცოტნემ,  
 ილიამ, ნინომ, ექვთიმემ, ვაჟამ...  
 გადაგვარჩინა, გადავრჩით ქართლად,  
 სად შეიწირვის ლოცვები ჟამად!  
 გადაგვარჩინა, გადავრჩით ხალხად,  
 ნაგიზგიზარად, მართლად, ღვთისკაცად,  
 გადაგვარჩინა სტუმარ-მასპინძლად,  
 სიყვარულით და პურ-ღვინო მრავლად!  
 გადაგვარჩინა უწმინდეს ხატად,  
 ღვთისმშობლის წილხვედრ ედემის ბაღად,  
 მშობლად სიწმინდის, ყოველთაგვარად,  
 გადაგვარჩინა ვაზის ჯვრით ნაზრდად!



ფარნავაზმა და შოთას კალამმა,  
ნიკალას ფუნჯმა, ბრძენმა გლეხკაცმა,  
ერთობის დროშით მტერთა ძლევაჲ და  
ქართული ენის წიგნმა, ფერადმა,  
გადაგვარჩინა, მარად და ყველგან,  
ღვთისმშობლის წმინდა ლოცვის მზეკალთამ,  
ღედის მანდილმა, მშობლის ვედრებამ –  
ქრისტეს მცნება და ჯვარი გვეწამა!

\*\*\*

ზარბაზნებიდან  
ესერიან ბედურებს,  
მიწა ვერ იტევს  
სულგანათლებულებს...  
ვაი, სირცხვილო,  
სად აგზავნიან  
ბიჭებს,  
სიცოცხლით გულანთებულებს!..





## საბრალო დედამიწა

უძილო თვალებით  
 ცის ტატნობზე  
 მზე შემართულა!  
 სხივები, მისი, ცრემლებით შეცვარულა,  
 მის მკრთალ მზერაში ნაღველი შეპარულა;  
 ერთი მძლავრად ამოიგმინა,  
 მოთქმად ჩამოიღვარა...  
 ისედაც გულნატკენს  
 საყვედურს აღუვლენენ, –  
 რად იმალებათ...  
 ...საბრალო დედამიწა.

## ვერ იაპრილებ

შენ, ნოემბერო, ვერასოდეს ვერ იაპრილებ,  
 ნუ გაირჯები, რომ ძველ ხანჯალს ვლდა დასტეხო,  
 მზეუხალისო ნოემბერო, უხმობ ბელურებს –  
 აპრილის გაშლილ ყვავილებში ჩაგვინამქერო...  
 შენ, ნოემბერო, ვერასოდეს ვერ იაპრილებ,  
 არვინ მოგიხმობს მაისისფერ სხივთა წინამძღვრად,  
 თუნდ ალაზანი, დურუჯი და მტკვარი აღიდდეს,  
 ღიმილის ბიჭებს ველარ მატებს გულის იარას...  
 შენ, ნოემბერო, ვერასოდეს ვერ იაპრილებ!



## გვიყვარდეს, გვიყვარდეს, მარად!

ვიწამოთ, ვიწამოთ მარად  
ჯვართამაღლება და ჯვარცმა,  
ჩვენი სამოთხე – გაგრა,  
სოხუმი, ლიბავა, რა ზღვა  
– ჩვენი ოცნებების ასხმა!  
გულრიფში, ოჩამჩირე, ბზიფი!...  
...და კვლავ „ნანა კივა“, „გიცდი“,  
ბიჭვინთა, ათონი, ლათა...  
გვფარავდეს ღვთისმშობლის კალთა!  
გვიყვარდეს, გვიყვარდეს მარად,  
ავბედობს ცრუ ჟამი რადგან!  
ერთობის დროება დადგა,  
გვიყვარდეს, გვიყვარდეს, მარად!!!





## გათენება – სიზმარი

წვიმა ისევ გზაშია  
 და სითეთრეც იმეფებს;  
 შეაგებებს ქარიშხალს  
 გული წვიმის სიმღერებს;  
 წვეთ-წვეთ დნება ზმანება,  
 ლურჯი მარადისობის,  
 გაათენებს მრავალგზის  
 პოეზიის მინორი...  
 ...ირგვლივ ბნელით მოცული  
 სველი ბილიკებია  
 და მოხვევის ფიქრები  
 სულით იმზირებიან!  
 ...რას ბუტბუტებს იქ მტკვარი  
 ან აქ რა დაფნარია?...  
 გათენება – სიზმარი  
 და ცა გადამქრალია!

## უსათუოდ

ვინ ამოსწევს ხალხისათვის  
 გადამალულ მზეს?  
 ვინ შეიბამს ამირანის უძლიერეს ხელს?  
 დაგვაფიწყებს ვინმე განა გაუსაძლის დღეს?  
 უსათუოდ!  
 გაბრწყინდება საქართველოს მზე!



## კვლავაც უნდა გაიტანო ლელო!

თქვენ არ იცით, ამ გულს როგორ უყვარხართ,  
ნადიკვარო და ალაზნის ველო,  
საქართველო, რტოდამზრალი თუ არ ხარ,  
კვლავაც უნდა გაიტანო ლელო!  
არ დავუთმოთ მიწის ერთი მტკაველი,  
ქართული მზე და ქართული ჩერო,  
ეს ვენახი და ეს ცა-ვარსკვლავეთი  
არ დავუთმოთ სულის მაცდურ დემონს!  
თქვენ არ იცით, ამ გულს როგორ უყვარხართ,  
ნათლის ღვენთო – კავკასიის მთებო!  
საქართველო, დანავლული თუ არ ხარ,  
კვლავაც უნდა გაიტანო ლელო!



# თელავი თავად პაქიაა



## თელავი

მთაზე – თოვლი,  
ბარში ოქროს ტევრია!!!  
სიყვარული ოდეს  
თოვლში მწვევია!!!  
შემიყვარდი  
და შენ მინდა შეგაქო,  
თოვლისფერად მოქათქათე  
თელავო!  
დამათენდა ქართულ  
სიზმართლამეში,  
დღეს მიღამებს  
ტრფობის ალი, მგზნებარე,  
თუ ვიცოცხლებ,  
ლექსის სინარნარეში  
და ულექსოდ  
განა ვინმეს ვენახე?!  
მთაზე - თოვლი,  
ბარში - ოქროს ტევრია!!!  
სიყვარული გულის სუნთქვად მწვევია!!!



### თელავქალაქო

აქ დავიბადე,  
აქ გათალეს ჩემი აკვანი,  
აქ გავიზარდე,  
აქ მეგულვის მთელი სამყარო,  
აქ მიხარია,  
აქ ვამაყობ ქართველდებობით,  
აქ ვიწრთობი და  
აქ ვარწყულებ ლექსის საბადოს!  
აქ ყოველ დილით  
ჩემს ბავშვობას ვერუდუნები,  
აქ ჩემს გონებას  
კვებავს წარსულ ფიქრთა საღარო,  
აქ კვლავ, ვით უწინ, საამაყოდ ელვარებს სული,  
სამარადისოდ მემზებრძელე,  
თელავქალაქო!

### თელავის დილა

ისე ღამაზად თენდება  
თითქოს  
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!  
სხვაგან რა არის ჭადრის საღარი?  
აბორგებული  
სუნთქვით თვლემს  
ღამე!  
თელავში,  
ღმერთის ფერებით – თეთრით,  
იღვიძებს დილა,  
იღევა ღამე!  
ისე ღამაზად თენდება  
თითქოს  
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!







## დე. გამშვენოს წინანდალმა!

თვალსაამოდ შეფენილი  
ცივგომბორის გადაღმა,  
გადაშლილი ედემივით,  
ჩანს კახეთის ბადახშად!  
ჩანს ამაყად მხარგაშლილი,  
აღერსით მომზერალი,  
თოვლისფერად მოქარგული,  
მოკალმული თელავი!  
რვა ასეული წელია,  
უდარაჯებს ჭადარი,  
მხცოვან ხეს ვერ შელევია  
ბრძენკაცთა ნააკნარი!  
დე, გამშვენოს წინანდალმა,  
შენი სულის მაქმანმა,  
იდღეგრძელე,  
ნურც მოგაკლოს  
ზენაარმა  
მანანა!



## თელავი თავად პოემაა

ღვთის საკმეველი დასაღბუნობს  
ზუზუმბოს რტოებს,  
ღვინობისთვეში დახვევია თავბრუ  
ნაძვის მთებს;  
ხვალის ფიქრებთან შერკინება  
თუ განმაცვიფრებს,  
რადას ვინატრებ, რითიც ვსუნთქავ,  
აღბათ, ამის მეტს!  
არ ვეძებ რითმებს ამ ქალაქში,  
რითმის ემბაზში,  
თელავი თავად პოემაა,  
სულს განადიდებს,  
არც სიყვარული გენატრება,  
არც უკვდავება,  
შეყვარებულად იბადები,  
ლექსად გაზვირთებს!  
აქ ცივი მთებიც სანატრელი,  
მშვენნიერია,  
სადაც მზის ფერი,  
ჩემი გულის ფეთქვის ფერია!





## წინანდალს

არ უშინდები მგონი ჟამთა სვლას,  
 არც მიმოფანტვას ნედლი კვირტების,  
 მე შენს ბაღნარში რარიგ ვმშვიდდები,  
 შენი ალერსით დავიტვირთები!  
 რა შეგედრება ლექსის სამრეკლოს,  
 რა გაახუნებს ტატოს გულისთქმას,  
 რატომ მამზადებს სულის სამზეოდ  
 ძველ როიალთან ზედვითიური ხმა?...  
 დანისლულ ფიქრთა უნჯად დადადებ,  
 აქ სამიჯნუროდ ყვავის ღიღილოც,  
 წინანდალს ქვეყნად რას შევადარებ,  
 არ ესვენება მარანში ღვინოს!  
 ტახტი მასპინძლობს მუზას, მგოსნისას,  
 ეწურჩულება სურო პარმადებს  
 და უაღრესად თვით საზომისა,  
 გეტრფი, რამეთუ მზესთან გადარებ!



## თელავის განთიადი

მიყვარს თოვლის ფიფქის  
უნაზესი ცვენა,  
ბარდნის უკვე სულში  
ეს ოხერი სევდა  
და თოვლივით, ნელა,  
სიყვარულიც დნება,  
კი არ ქრება,  
რჩება ღამაზ მოგონებად!...  
აღიონზე ღოცვით  
ვხვდები ნათელ ფერთა,  
განთიადის სარტყელს,  
გადაჭიმულს ზეცად...  
მერე რარიგ შვენის  
გარიურაუი თელავს...  
ვარსკვლავების ჯარი  
შეუმჩნევლად ქრება;  
...ან გუღცივი მთვარე  
საით გაქრა ნეტავ?...  
ამ ფიქრებში აღმართს  
მივუყვები ნელა,  
ფიფქები კი ნაზად  
ათოვს, ათოვს თელავს!





## თელავი – ჩემი სიცოცხლის ფერი!

ცისკრით აფრენა  
 აღმართებზე და  
 ჭადრის ფოთლებთან კრთოდნენ თვალეები:  
 „მე შენ დაგხატავ“,  
 „მე შენ გიმღერებ“,  
 „მე შენზე ლექსებს ვწერდი გახელით“,  
 – აღმოხდებოდათ ხან მოკრძალებით  
 და ზოგჯერ ანცად  
 კვირტებს, ალვისას,  
 მიაჩრდილებდა შუქი, მრავალი,  
 ერეკლეს ბაღში კდემით გავლისას!  
 მიყვარს თელავი,  
 ქალაქი მწანე, ქალაქი თეთრი,  
 მეტოქე ზეცის,  
 ნადიკურის მთვარე,  
 ზუზუმბოს კონცხი,  
 ზურმუხტისფერი,  
 ზელვთიურ ხმებით...  
 სხვაგან თელავი არის? სად არის?...  
 თელავი – ჩემი სიცოცხლის ფერი!



## მანანებზე ჩურჩულებენ თელანი

„მანანები“ ემღერება ქალაქს,  
შემოდგომის ყვავილების აღმართზე,  
ისევ ისე, ვით მაისის საგა,  
ხმა ნანაობს ზღვიდან ზეცის კარამდე!  
„მანანები“ ემღერება ქალაქს,  
მანანებზე ჩურჩულებენ ჭადრები,  
ელაფნება მანანების ვარდნარს  
მეფის კარზე მომჭექარე ზარები!  
... და მეფური სიყვარულის აღვა  
მანანების გულში ხარობს ჩქერალით,  
„მანანებზე“ ემღერება აღმართს,  
მანანებზე ჩურჩულებენ თელანი!





## ვამრავლოთ ეს სილამაზე

დაუბადებულვართ გმირებად,  
 სამყაროს დამამშვენებლად,  
 გმირ წინაპართა გვარების  
 ქალ-ვაჟთა დამბადებლებად!  
 დაგვკვება მადლი, ღვთაების,  
 ერეკლეს ჯვარი – მფარველად,  
 სილადე – ალავერდისა  
 და წინანდლური სახება!...  
 მამულის მარგალიტებო,  
 ჩაუქრობელო სანთლებო,  
 ვამრავლოთ ეს სილამაზე,  
 ჩვენ - საქართველოს ქალებო!

## ნარინჯის თოვა

თელავში, ქარვის ხეივანებში, ნარინჯის თოვა,  
 ... და მალე შობის მახარობელი - ზამთარი - მოვა!  
 ... და მალე, და მალე ზეცის ფერდობიდან  
 ნამდვილი, სათუთი, პირველი თოვლი მოვა!

...

თელავში, ქარვის ხეივანებში, ნარინჯის თოვა...  
 ვინ იცის, სათქმელი, ფოთლებს, რამდენი ჰქონდა...



## თელავს

უფლის რჩეულო ქალაქო,  
 ერეკლეს ჯვარი გდარაჯობს,  
 სალოცავები გარს გერტყმის,  
 თვით სალოცავო ტაძარო!  
 ეს უძველესი უბნები  
 სხვისთვისაც საამურია,  
 შენი აღერსით დაღლილ გულს  
 ბატონის წყალი სწყურია!  
 ზაფხულის პაპანაქება  
 ვერ შეაშინებს თელაველს,  
 წავა, ნადიკვარს დაჯდება,  
 ფერად ლექსებსაც შეამღერს!  
 ძველი ჭადარი ისევ დგას,  
 არაკებს ყვება, არ ცხრება,  
 სიბერის ძრწოლას მიფანტავს  
 უბერებელი სახება!  
 მთიდან მომავალ ალაზანს  
 ღიმილით ხედება თელავი,  
 უამბობს ძმათა ავს და კარგს  
 მდინარე – დაუდგარი!  
 შენს სოფლებს გულში იხუტებ,  
 ძირით დასცქერი ამაყად,  
 ლოცულობ იმათ სახელებს:  
 იყალთოს, ფშაველს, ართანას...  
 წინანდლის ბაღში, საამოდ,  
 გულში საღბუნი მეღვრება,







არ გაჩენილა პოეტი,  
ამ წალკოტზე არ ემდერა!  
მზე და მთვარესთან გატოლებ  
ზღვაფერთოვლობის ქალაქო,  
ერთი პოემა არ გკმარა  
შეყვარებულთა საბადოს!  
უცრემლოდ როგორ დაგშორდეს  
სტუდენტი, სულის ლამპარო,  
შენ ვინ არ გაგითავისებს,  
სიბრძნის და ცოდნის ტაძარო!  
ჯილდოა თელაველობა,  
ქართული სულის მარმაში...  
ჭეშმარიტება, ნამუსი –  
აი, მთავარი ქალაქში!  
მე მესმის შენი ჩურჩულიც,  
შენი სხივები გამათბობს,  
მე შენ მიყვარხარ, თელავო,  
შენი ფესვებით გამაყობ!



## მთვარე აღმართზე

ჩემს ცაზე დაიარები,  
ზაფხულია თუ ზამთარი,  
მითხარი, მთვარეე, ძვირფასო,  
მე გიყვარვარ თუ ჭადარი?...  
ხან გაწითლდები სიმორცხვით,  
ხან დამქათქათებ სადაფი,  
მთვარეე, თუ მართლა გიყვარვარ,  
შენი ერთგული დამარქვი!  
გაგანდობ გულის ნაფიქრებს,  
ვერცხლისფრად როცა დამნათი;  
მეტყვი: "ერთგულად ნაღვენთო,  
გული, სხვა გული, სად არის?..."

## პირველი თოვლი კავკასიონზე

თოვს!  
თოვს მთაკავკასიონზე!  
ცეცხლი უკიდია ცას!  
მზეც ბნდება თელავის ალიონზე,  
მტრედები სალბუნობენ ცვარს!  
როგორ არ გიყვარდეს  
სიცოცხლე,  
როგორ არ გიყვარდეს ხმა –  
განთიადს მოღუღუნე მტრედების,  
ტაძრისკენ სავალი გზა!





## ამ ცისა და მიწის ტრფობით

შუამთის წყლით წყურვილს ვიკლავ,  
 თელავს გულში ვეკონები,  
 გომბორიდან ჩამოქროლილ  
 ნიაექარს ჩავეთრთოლები!  
 წინანდლის ბაღს მარგალიტის  
 მძივებად დავეცრემლები,  
 ყველაწმინდა-ზღუდრის მიწას  
 კელაპტრებად ავენთები!...  
 ამ ცისა და მიწის ტრფობით  
 ვერასოდეს გავენელდები!

## შესვენებაზე გაფიქრებული

ამ კედლებში  
 ჩემი გული ფეთქავს;  
 ამ კედლებში  
 დავიბადე თითქოს,  
 სიყვარულზე კვლავ სიმღერებს ვბედავ,  
 აქ სიცოცხლეს  
 სხვაგან არსად მიჯობს!  
 ამ კედლებში ჩემი გული ფეთქავს,  
 აქ სიცოცხლეს სხვაგან არსად მიჯობს!

2019 წ.



## ნაწვიმარი ღამე

ნაწვიმარ ქუჩაზე, ხარბად,  
სუნთქვა – სურნელის, ცაცხვის;  
ნადიკერის  
ანთრაკი მთვარე,  
როკვა –  
მსუბუქი ქარის;  
ცივიდან, შემკობილ ლანდად,  
ქღერა –  
უჯარმის ზარის,  
აგვისტოს სადარად რწევა  
მოზღვისფრო ფიქრთა ნავის;  
ალაზნის  
კამკამა წყალი,  
წამწამს კიდული ცვარი,  
ვარსკვლავთა ზღაპარი, ხვამლი –  
დაუდგარი ღამის;  
მთაკაკასიონის შუბლი,  
გადამოსილი, მკრთალი,  
შუქით, ვერცხლისფერი ცის და  
ელვით – მზისფერი ხვალის.





## სიყვარულისთვის

იქნებ მითხრათ, ეს ცხოვრება რად ღირს უსიყვარულოდ,  
 რად მოსულხართ, თუ ისურვებთ ყოფნას, უსიყვარულოდ?!  
 რად ღირს, როცა მოგოგმანობს მთვარე, სასიყვარულოდ,  
 ციმციმებენ ვარსკვლავებიც, ალბათ, სასიყვარულოდ!...  
 მზე რად ჩნდება სხივთმოთოველი, მითხარით,  
 ღვთის გულისთვის...  
 რად მიმოდვრის ცაცხვი სურნელს,  
 იქნებ სიყვარულისთვის?  
 რად გვიქარგავს გაზაფხული ენძელების ხალიჩას?  
 ერთი მუჭა ხალხი ქვეყნად რა ძალამ დაგვარჩინა?  
 სიყვარულმა, გავიხსენებ უკვდავებად ნაამბობს,  
 მცხეთის სუეტიცხოველი სიყვარულმა ააგო!  
 ყური უგდეთ ალვის ჩურჩულს და თელავის ჭადრის ხეს,  
 გადახედეთ ალაზნის ველს, სიყვარულით აღივსეთ,  
 დაუყვეთ, დაუყვეთ ჩვენი ქვეყნის მთა-გორებს...  
 იქნებ მითხრათ, ღვთის გულისთვის,  
 სიყვარულს არ გაგონებთ?  
 მიპასუხეთ, ეს ცხოვრება რად ღირს უსიყვარულოდ?!  
 რად მოსულხართ, თუ ისურვებთ ყოფნას,  
 უსიყვარულოდ?!...



## წიგნისერთა ფოთოლი

შუაღამისას, როდესაც დუმდა  
 ირგვლივ ყოველი, სამყარო – მთელი,  
 ყადორის მკერდზე შეველას ითხოვდა  
 ხეს მოწყვეტილი ფოთოლი, ერთი.  
 ფოთოლს ელოდა ძირს მწუხარება,  
 უძახდა ხეებს: „არ გახსოვთ ღმერთი?...  
 აპრილისფერად რომ გამშვენებდით,  
 მე ის კვირტი ვარ, ზურმუხტისფერი!  
 ნუ მომიშორებთ, რისთვის მიმეტებთ?  
 არ დავიღლები ბაღახის მზერით,  
 მე – სიყვარულის თავშესაფარი,  
 ისევ და ისევ სიყვარულს ველი!  
 თქვენთან დამტოვეთ, თქვენთან მაცოცხლეთ,  
 თქვენთან ვიმღერებ მზის ქნარი, ერთი;  
 მე არ მაშინებს ზამთრის სუსხი და  
 არც დიდთოვლობის მსახვრალი ხელი!  
 შენ, დიდო მუხავ, ცაცხვო, წიფელო,  
 ძელქვაჲ, ფიჭვო და ნაძვნარო, ჩემო,  
 გადამარჩინეთ, ქარს ნუ გაატანთ  
 ჩემი ჩურჩულის საამურ გემოს!“  
 ქარმა ფოთოლი მოაბა სარკმელს,  
 გათენებამდე ვტიროდით ერთად,  
 თითქოს ვერაფერს ვშველოდით დამეს  
 და შემოდგომის გათოშილ მზერას!  
 ფოთოლი ცრემლით გავახალისე  
 და მივუჩინე სამყოფი ჩემთან,  
 წიგნში სულ ბოლო გვერდს შევაკინძე,  
 მზედ რომ დავხარი, იმ წიგნისერთად.



# აჩრდილი



## თოვლს კვალავდა ვერის ხიდზე

გზას გაუყვა ვერის ხიდზე,  
მარტოს თოვლი შეხვდა  
მარტო,  
ახალი წლის დამით  
ხელეებს  
მონატრების ალი  
ათბობს!  
შეუძახა: „ხალხო, ჰეი!  
გალაკტიონს რად ვერა მცნობთ?!  
აღაღ გულში მღვრია თაფლი,  
არც მე ვარ უგოზინაყოდ!  
ან თუ მეღით, თუ ვინ მეღით,  
ან მასპინძლად შემეყვართ,  
სიყვარულით დაგაბერებთ,  
რითმეებით გზა გაგინათოთ!  
ნუგეშს ისეთს ვერვინ გეტყვით,  
მე რომ გეტყვით – „მიყვარხარო!“  
...  
თოვლს კვალავდა ვერის ხიდზე,  
ახალი წლის დამით მარტო.



## ვაჟა-ფშაველას

შენს აჩრდილს ჩავხუტებივარ,  
მგოსანო, მაღალ მთისაო,  
შენს ნაბაღს შემოვევლები,  
სხვა სითბო რადღა მინდაო!  
...მანანად დაგეღვენთები  
ნაიალადარ მხრებსაო,  
სანთლადაც ამოვენთები  
შვლის ნუკრის ნაღველფზედაო,  
აროდეს დავიღლებოდი,  
ვამრავლო შენი ქებაო!







## გუმზერ ცივ ხეთა ჯარს

აქ არ მოსჩანს არც მეტეხი  
და არც მტკვარი,  
მაგრამ  
მთვარის შუქი ხომ გვახსენებს  
გაღასეულ ზღაპარს...  
... და რაც უფრო შორს ხართ ჩემგან,  
მეტეხო და მტკვარო,  
უფრო ძლიერ მეტკბილება  
ეს ცა, სალაჟვარდო!  
... და აქაც რეკს საზანდარი,  
გუმზერ ცივ ხეთა ჯარს,  
თუმც რამ სცვალოს ბეთანიის  
უვიწყარი საგა?...  
თოვლი მივსებს სულს, ძვირფასო,  
ხელთ დავიკრეფ სანამ...  
ღურჯა ცხენებს  
მტკვრის ნაპირთან  
გულის ძახილს ვატან!



# თქვენ პატივს უყვართ



## ანანკე

ანანკე...

რა ვნახეთ, ოდეს დავხატეთ...

განახლდეს?! სად ნახეს?!

იავარქმნილს თუ ღმერთი აღადგენს,

თავად „ანანკეს“, სულის დამდაღველს,

ერთ ბნელ კუთხეში ვინდა დააწერს?...

ათასეული წლები მძვინვარებს!

ღმერთი არ გაწერეს...

ჩემს სვეტიცხოველს,

ღმერთთან შემრკინე

მებრძოლ იაკობს,

არ წარეხოცოს – „რატომ... ანანკე?..."

15.04.2019





## თქვენ პარიზს უყვარხართ

თუკი თვალები სულის სარკეა,  
 თუკი თვალები ამბობენ მართალს,  
 თუკი თვალებში ხედავ სანატრელს,  
 შენი სულის და გულისთვის გამთბარს;  
 პარიზზე ნახავ ამ სიდიადეს,  
 პარიზს უყვარხარ, აქ ცამდე ახვალ!  
 გულიდან ცეცხლი აგრიგაღდება,  
 თვალში იღვრება შუქურვარსკვლავედ;  
 გაჰყვები სენას, როგორც თოლია,  
 მონმარტზე ჩაგთვლემს, ვით ესმერაღდა,  
 ყინული მზერით ზომავ ეიფელს,  
 აქ ზარებს ჩემი სიონის ხმა აქვს!...  
 საქართველოში ჩამოქნილ სანთელს  
 სარკმელთან ვუნთებ ღვთისმშობლის ტაძარს;  
 ...პარიზში ნახავ სულის სავანეს,  
 პარიზს უყვარხარ, აქ ცამდე ახვალ!



## ვარსკვლავის მოედანი

აქ იყო - თითქოს ცა იყო,  
ზღაპარი ქვეყნად არ იყოს,  
ნატვრა, სურვილი, ოცნება –  
ყველა მთლად გადამქრალიყოს!!!

...

ჯერ კიდევ სულ არ მენახე,  
კვლავ ჩემი ზმანება იყო...  
... რა იქნებოდა,  
რად მიხმობ...



# კვლავ ამოწონებთა მზე დიღებულუბით



\*\*\*

გაწვიმდა...  
ისევ გადაირია დაღლილი თვალის ფერით;  
გაწვიმდა...  
ავდრის სიჩუმე, ბინდი,  
როკავს ღრუბელი ლხენით;  
გაწვიმდა...  
თითქოს გადაივიწყა  
იების სუნთქვა, მთებით;  
გაწვიმდა...  
მოცარტის აკორდებად  
მომარგალიტობს ცრემლი;  
გაწვიმდა...  
ისევ გადაირია...  
სევდა, ყვავილთა,  
გესმით?...  
გაწვიმდა...



## წვიმს

რატომ წვიმს ასე,  
თავგამოდებით,  
თითქოს გრძნობებმა სული დალია,  
ვარდის ფოთლებზე  
რითმების თავსხმად  
წვიმამ წუთების წვდომა არწია...  
წვიმს და  
წვიმისფრად  
მორთულ ეწერთან,  
მეწამულ ფერთა,  
მთვლემარებს დამე...  
წვიმს!  
გაოგნდებით და  
წვიმს ღიმილეთში,  
წვიმს!!!





## წვიმას ვეფერები

რა კარგი ამინდია,  
ფოთლების მეჭლისია,  
ხეები საამოდ მუსიკობენ!  
ფრთოსნები გადარია  
ელ-ჭექის ხმამ, არიამ,  
ღრუბლები ვარსკვლავებთან  
გულცივობენ...  
... და განა ავდარია?  
ნისლნარი, დარდნარია,  
ფოთლები გამალებით ჩურჩულებენ,  
ფოთლებს ადევნებულ  
წვიმას ვეფერები,  
რა კარგი ამინდია დღეს!



## ლამაზი თენებით

ფრთოსნები ნაღვლობენ ჩამოშლილ ბუდეებს,  
დააზრო ყინულმა მაისში ვარდები,  
ცაცხვეები ჭრილობებს ტკივილით უმხერენ,  
ცა ლამის დავარდა მიწაზე ზარებით!  
... გაიფანტებიან სადღაც შორს ღრუბლები,  
კვლავ ამოენთება მზე დიდებულებით,  
ცა და დედამიწა ისევ, ერთგულებით,  
შემოევლებიან ქვეყანას შუქებით!  
... ნათელი ფერებით, ლამაზი თენებით,  
კვლავ ამოენთება მზე დიდებულებით!

## ყაყაჩოს ფერი

ცხოვრების ფერია ყაყაჩოს ფერი!  
რა ლამაზია ეს დალოცვილი  
ყვავილიცა და თვით ცხოვრებაც!  
გული – მთლად სავსე იღუმალებით,  
გული – ნამწვავი, წამების ფერი!  
ყაყაჩოს ფერი – მაინც ფერადი,  
მშვენიერებით ავისილი ფერი,  
სიცოცხლის ფერი – ყაყაჩოს ფერი!







## მთვარე და ნაძვის ხე

მთვარე უამბობს ნაძვებს  
 დათოვლილ მთებზე ზღაპარს,  
 გადაიღამებს აქვე,  
 გათენებამდე, ზმანად;  
 აფრქვევს ალერსს და ნათელს  
 მთვარე ნაძვის ხის ნარნარს,  
 მანანას აქსოვს, არწევს,  
 ეამბორება ნაზად...  
 შუქმიბინდულა ღამე  
 ამ სიყვარულის კვალად,  
 ხარობს სამყაროც მათებრ,  
 ლოცვა აღმოხდა ჭადარს...  
 აქ, ჩემს სარკმელთან, მარტო,  
 დეკემბრის ღამის სადარს,  
 მთვარე უამბობს ნაძვებს  
 დათოვლილ მთებზე ზღაპარს!



## მზე და ღამაზი გაზაფხული

მზის სხივი  
სულის სარკმელს  
აღნება,  
მზე თვით დარაბებს  
ააელვარებს!  
...მზე მაღლა  
წერას აუტანია,  
მზე ბედისწერას  
გააფერადებს!!!





## წუხელ ბღაოდა ვერე

ვისთვის პატარა მდინარე,  
 შმაგი, ანკარა ვერე,  
 იენისის მთვარეს შეენთო  
 მადლის წყურვილით ღელე!  
 ...და ბობოქარი ქუხილით,  
 მართალი კაცის მძებნელს,  
 მეორედ მოსვლა უტვირთავს,  
 ზვაგი მოსდევდა „შემწედ“ ...  
 ვეფხისტყაოსნად ქცეულა,  
 ლომებს შეჰბმია მერე!  
 ... და მგლური მადით უვლია  
 თბილისქალაქში ვერეს...  
 მზიურქალაქში ოხრავდა,  
 მოთრიაღეთე ღელე!  
 სიცოცხლის გადასარჩენად  
 ხელი ჩასჭიდეს მერე...  
 „ხელი ჩასჭიდეთ ერთმანეთს“, –  
 წუხელ ბღაოდა ვერე.

13.06.2015



## შორს, რაც შოვს გადახდენია!

სული ტირის,  
გული კვნესის,  
მო, დამეცი მეხი, ცაო!  
დაგიშავდა რა ისეთი,  
რომ გაგვტაცე ძმა და დაო!  
დედა-შვილი – მკერდსჩაკრუნნი,  
კაცი – ცოლ-შვილთან სახარო,  
დარჩენილი, ეს სიცოცხლე,  
მათი ცოდვით ვით ვახარო!  
შორს, რაც შოვს გადახდენია!...  
დაე, მტერსაც არ ენახოს!...  
სული ტირის!  
გული კვნესის!  
მო, დამეცი მეხი, ცაო!...

03.08.2023





## სავედრებელი (შოვის ტრაგედიისადმი)

თვალშეუდგამო,  
უხვი მადლით, ძალით მოსილო!  
გელტვით ყოველი, ამა სოფლისა, დედაბუნებაჲ!  
მართლმორწმუნეთა აღახუნეს სულის სარკმელი  
განსარინებლად!  
შენ გესავთ ყოველნი, გვწამხარ ღიმენად!  
შენ შეგდაღადებს ნასალმობელი, საარებული  
სულნი,  
გალობით – „მრწამსის“!  
სერაფიმთა და ქერუბიმთა, მამებელი,  
შენ გაქებს დასი!  
დაოკდეს რათა ზვაობა, შენი,  
და უკუჰყარო გულარძნილობა არდამდოვრებით!  
ვით ვასილიკო, ნუ განისჯები,  
არამედ მარად იდღეგრძელე,  
მადლით აღსავსე დედაბუნებაჲ!

03.08.2023



# მე ჩემი გულის ნაწილუმს ვდაბრდებ



## მე ამ ცასავით მტკივა ეს გული

მე ამ ცასავით მტკივა ეს გული,  
მოთქმად ვქცეულვართ ორივე, მარტო,  
ამ ფანტელთავით,  
ცად დასახლებულთ,  
მე ჩემი გულის ნაწილებს ვდარდობ!  
თქვენ რა გადარდებთ,  
თქვენ რა განადგულებთ,  
ღველფადქცეულო  
ცაო და მარტო?...





## ქეთევანისთვის

შენ დაიბადე სილამაზისთვის,  
 შენ სილამაზით განვლე ცხოვრება;  
 შენებრ, სათნოდ და სიღარბაისლით,  
 მთვარე სამყაროს ესხივოსნება!  
 შენ, მხოლოდ ერთმა, შესძლე სიცოცხლის  
 ყოველი წუთის ძლევა ოცნებად,  
 შენ მოიარე ზღვა და ხმელეთი,  
 ყველაზე ზრუნვით ღლიდი გონებას!  
 შენი სინაზით, მშვენიერებით,  
 ქალური კდემით გიცნო ქვეყანამ;  
 შენ ხარ ის ქალი, გულის მიჯნურთან  
 ქართული ცეკვით მზეს რომ ედარა!  
 შენ სიყვარული შესძელი მარტო,  
 წვრილმანებისთვის არცროს გეცალა,  
 შენ უკვდავების დედოფლის გვირგვინს  
 თვით უფლის ხელი გადგამს ნეტარად!

/შენი და/



გ.შ. – ს

ენატრობ,  
მტკერის ტალღამ  
მიუკვლევველ სრამს დამაგუბოს,  
ვიდრე ვიხილო გული, შენი,  
თიბათვის მზით გადახანძრული!  
ვიდრე მზის სხივი  
ეფერება ნაწვიმ წამწამებს,  
სიცოცხლის წამებს  
ნუ გააწამებს!!!  
ფიქრი გამანდე!!!  
უშენდომილოდ  
უჭირს სიცოცხლეს,  
ფიქრი გამანდე!!!

/დეიდა/







## იყავ ნება

ლექსი ჩემი და  
 დუღუკის კენესა მტკვარზე -  
 მე ასეთი ზაფხულები მაგონდება,  
 თებერვალში, მუხრანთუბანს,  
 გრძნობის თასში  
 უჩვეულო სიყვარული პარკალებდა!  
 ზანზარებდა საზანდარი,  
 გიჟი მარტის,  
 ამ ლექსების ჰანგი მაშინ რად ზარებდა!...  
 აგვისტოში ნაზი კოცნის ხეივანში  
 ჩვენი მღერა სასიმღერეთს გადარეგდა!  
 მერე დადგა აპრილები –  
 თეთრი რაშით  
 მოვლენილი სახარეთი, დარი მზეთა;  
 იყო დარდიც, მაგრამ დარდშიც იყო ვარდი,  
 ის ვარდები მთელ საგარდეთს გადარეგდა!  
 იყო ლოცვა, ვედრება და  
 მაგრამ მაინც...  
 უფლის ნებით, დადგა ჟამი - განსჯად ჩვენდა!  
 იყავ ნება, იყავ ნება, ღმერთო, ჟამით,  
 მაგრამ მაინც გვიწყალობე გადარჩენა.



## თეთრი ღამეები

თეთრი ღამეები, ნისლი,  
ქარის ზრიალი და სუსხი...  
წუთებს წამებად ვითვლი,  
რალაც სანუგეშოს ვუცდი!!!  
ერთ დროს, ჩვენ, ფერია ბავშვებს,  
მშვიდი გვენატრება ღამე!  
გული თუ გაუძლებს ამდენს?  
ღმერთო, გადიდებდე ცამდე!  
... და ვარ, ბრძოლის ველზე მისთვის!...  
ჩემი გულისფერი დისთვის!

\*\*\*

იანვრის თვეში  
არ მახსოვს ყინვა  
და გიზგიზებდა  
ჩვენი ბუხარი...  
შენ ჩემთან ხარ და  
ჩემთან იქნები!  
მე რა ვიღონო,  
ამ გულს უთხარი!





## რა ვიცოდით იმ თებერვლის ღამეს

აგიზგიზებს ქარი სანთელს, ავდრობს,  
 თქვენს სურათებს კრძალვით ვუკმევ ამბორს!  
 ქარი ეძებს ვარდებს, იასამნებს,  
 გაგიფინოთ უსასრულო გზაზე!!!  
 ჩვენ ვარდები გვიხაროდა რარიგ,  
 მთლად წითელი, სიყვარულით სავსე,  
 თებერვალში ყვავილობდა ნუში,  
 თებერვალში მზედ ბრწყინავდა ღამე!!!  
 თებერვალში ნავარდობდა ქარი,  
 ისე, როგორც გაზაფხულის მთვარე!!!  
 წინ გველოდა უსაშველო სუსხი -  
 რა ვიცოდით იმ თებერვლის ღამეს...  
 იქნებ მკითხო, რას ვწერ,  
 ანდა რისთვის?...  
 სხვაფრად როგორ გავათენო ღამე?...



## თოვს

თოვს!  
უჩემოდ  
არ წახვიდე სადღაც შორს,  
არ შემატოვო უშენობას, ყინვას, თოვლს!  
არაფერს, მხოლოდ სუნთქვას გთხოვ!  
მე ისევ ოცნებებს ვქსოვ...  
შენც, ხომ?  
... და, გთხოვ,  
უჩემოდ  
არ წახვიდე სადღაც  
შორს.





## ანგელოზ ნიკოლოზს

მე მთელი ღამე, შენზე ფიქრის, ვებრძვი მარწუხებს...  
 ... და ძილშიც მტანჯავს  
 შენზე ფიქრის უღვთო მორევი!  
 ეს განსაცდელი საუკუნოდ დაისადგურებს  
 სულში,  
 სამყარო როცა ძრწოდა  
 მის ვერ მორევით!  
 გამინაპირე, შენს ღიმილებს  
 მოვდეგ, გეწევი!  
 დღესაც მაჯობე, ამ დილასაც გამისხლტი ხელით!...  
 ... და თითქოს ჯინზე, მტკვრის ოხვრა და წვიმა მაოცებს,  
 შენს სიყვარულში მეცილება თვით ღვთისმშობელი!  
 გეძახი მაინც - მიყვარხარო - გულის საღბუნო,  
 ხომ დაგეწევი, სად წავუვალთ განგების ნებას?...  
 ამ საწუთროში უნდა გული გამინუგეშო,  
 რომ ღიმილებით მიმეგზურებ, შენ, ტკბილო, ღმერთთან!!!  
 წვიმს და ქვითინებს უსაშველოდ გული, სნეული!  
 გული - დღეიდან  
 უშენობით გადარეული!



## უშენოდ ზაფხულს როგორ უჭირს გამონათება

მე ვეფერები ფერად ვარდებს  
და იასამნებს,  
მე ვეფერები ყოველ დაისს,  
ყოველ განთიადს!  
ხანდახან გული  
სიყვარულზეც  
ამოიმღერებს,  
„ღიმილებითაც“  
დარბაზებში  
კრძალვით დავიარ!  
მე მიუყვები დიდ აღმართებს,  
ლოცვით და რწმენით,  
ვედიდგულები აისბერგთა  
სულს მოღეწებას!  
... და ამოვარდნილ ქარიშხლებსაც,  
ვით წვიმის მეჯლისს,  
ვეტოლსწორები,  
ვერკინები უხვ მოღელგებას!  
ეს რა ძალაა ჩემში, შენგან დანატოვარი,  
თვით წარღვნა – უთქვი –  
მშვიდი თმენით ამატანინოს?!  
მაგრამ ივნისის ოცდაერთის გაუგონარი  
გულის მეხი, სულის ფერფვლა,  
სად გავამხილო!





სად გავამხილო უსუსურმა ამ დღის ყინული...  
უშენოდ ზაფხულს როგორ უჭირს გამონათება!!!  
ორი ზაფხული უღიმოდი მზესა და ორი,  
ორი სამყარო აღმდგარიყო  
აღსაზევებლად!!!  
... და ახლა, უფლის ანგელოზო,  
ღვთისმშობლის გულში  
ჩახუტებულს და ჩათბილებულს  
კვლავ ცხადად გხედავ!!!  
მე ვეფერები ფერად ვარდებს  
და იასამნებს,  
რადგან უფალთან, გაბრწყინებულს,  
შენს სახეს ვხედავ!



## ვინ იცის, ივნისს მერამდენედ გადაფურჩები...

ავად ვარ!!!

სიცხე მანურჩულებს ძვირფას დღეებზე!

წყალი მწყურია!!!

ხევი ოხრავს წვიმის თავსხმებში!

განთიადამდე რაღა დარჩა,

განთიადის მზე

შემეგებება, ვით მშობელი

ატმის ლანგრებით.

ავად ვარ!!!

სიცხე მანურჩულებს

ძვირფას დღეებზე,

ვერავენ ახსნას გათოშილი სულის ბუტბუტი,

სულგაგუდული

ველი ნათელს, ღიმილს – დედისფერს,

მტრედისფერ ზეცას ველოდები

ნათლის შექურით!

ავად ვარ!!!

სიცხე მანურჩულებს ძვირფას დღეებზე,

ივნისის წვიმა უძღურია

გულის ხანძართან!!!

მე ანგელოზის ძებნით დავალ, დავეძებ მოთქმით,

ივნისმა ჩემი გულის ფეთქვაც რომ გაატანა!!!

ავად ვარ!!!

სიცხით გადამწვარი ძილს ვეურჩები,

ვინ იცის, ივნისს მერამდენედ გადაფურჩები!!!







## შენ – ჩემი ხატი!

აწ სიმარტოვეს ვეღარ შევიგრძნობ,  
რადგან ყველა დროს  
და ყველგან შენ ხარ!  
... და მერამდენედ  
გაგიღე კარი...  
აენტო ქარი!...  
...მე, შენ და ქარი  
მზით ცას შევმოსავთ...  
ყველგან და მუდამ  
შენ ხარ...  
მე – შენს ფიქრებში,  
შენ – ჩემს ფიქრებში!...  
... აწ სიმარტოვეს ვეღარ შევიგრძნობ:  
თაფლის სანთელი,  
შენ – ჩემი ხატი და ანგელოზი,  
და, მე და ქარი!!!!...



## მარიტა

აქ უცნობ რაინდს ვუნთებდით სანთლებს,  
ახლა ნაცნობი სულის გზა ღამპრობს!  
მარიტა,  
დედა ღამეს გაათევს,  
ღმერთს შესთხოვს,  
ერთხელ სიზმარში გნახოს!  
მოგიაღერსებს, გაზრდილ-ნაფერებს,  
არ გათენდუო, ინატრებს მარტო,  
მარიტა, დედას შეუშრობ ცრემლებს  
და ეტყვი: „კმარა წუხილი, სათნო!“  
... და ანუგეშებ, და გაამხნეებ,  
ეტყვი: „საუფლო სამოთხეს ვსახლობ“,  
ეტყვი: „სიზმრებში არ მიგატოვებ,  
ადარც ბურთსა და მოედანს ვდარდობ!“  
... და დედის გულში ენთები სანთლად,  
დედის სინათლე, პატარა ქალო!  
თურმე მარიტა უნდა დაარქვან,  
რომ იბადება, ამ ღამით, ბავშვსო!  
...  
აქ უცნობ რაინდს ვუნთებდით სანთლებს,  
ახლა ნაცნობი სულის გზა ღამპრობს!





### 13 წლის და სამთაწმინდე

ძეგლი ავუგოთ მთაწმინდაზე  
 ცამეტ გაზაფხულს!  
 ცამეტ ასურელს შევავედროთ  
 სიცოცხლე – წმინდა!  
 ... და მეცამეტე ცის ვარსკვლავად  
 ავაბრიალოთ  
 ვაკის პარკიდან აფრენილი  
 ცამეტი წლისა -  
 ბავშვი,  
 უმანკო,  
 ანგელოზი,  
 სადარი მზისა!

\*\*\*

მოქუხს ხევი  
 ცივი გომბორის კალთებიდან!  
 მოქუხს, მობღავის,  
 მოედინება  
 მზეთა ტრფიალი!  
 ...და გაიღურსა ყოველი ჩქამი  
 და თუ ფეხის ხმა ამ ქუჩაბანდში!...



## სამოთხის ბაღში კელაპტარი ლოდინით იწვის

თავად მოცებს, უცნაური, ასე მოწყენა,  
მაგრამ სევდისფრად ამიმღერდა ცხოვრება, ფლიდი,  
უკიდებანო ფიქრის ზღვისფრად განცდა-მოთმენა,  
ოდეს მზის სხივებს, აღტაცებით, ცის მკერდზე ვთვლიდი!  
ო, რა უხვია, ზესავალი გზები, ვარდნარი,  
ო, რა კაშკაშა იმედები ზეაღმავლობენ,  
მაგრამ ის გული, მზის ფერებს რომ ქსოვდა სათუთად,  
იმ გულის სუნთქვა გაირინდა მარად სამოთხედ...  
სამოთხის ბაღში კელაპტარი ლოდინით იწვის!



# შენს დალილ მკლავებს, შენს წმინდა გულს უფალს ვაჟდრებ!



## ბებო თებროლეს

კაბის კალთაზე ოცნებაში გესათუთები,  
შენს ნაფეხურებს ღრმა ფიქრებში  
თვალყურს ვადევნებ,  
ბედნიერი ვარ, ვიდრე ქვეყნად შენ მეგულები,  
შენს დალილ მკლავებს,  
შენს წმინდა გულს უფალს ვავედრებ!  
უძვირფასესი სამკაული გარგუნა ბედმა,  
არც რა არის რა მისი ფასი, სადარი ქვეყნად;  
მანდილოსანი, მადლმოსილი, ღმერთს ემსახურე  
და შენს ნათელ სულს წმინდა სანთელს  
ვინ არ დაუნთებს?!

„ვინ იცის კვლავაც რამდენ თაობას  
დააფრთიანებს  
ჩემი აკვანი“;

– რწმენას დაღადებ შენებრ, ამაყად;  
თოვლი კი ბარდნის  
ვერცხლისფერ თმაში...

ეს მერამდენედ გვიმღერი „ნანას“,  
ეს მერამდენედ არტახებს უბნევ,  
ეს მერამდენედ შვილებზე ლოცვით  
სალოცავებს რომ კელაპტრებს უნთებ...



არა არის რა ამქვეყანაზე,  
რომ მაგ დაკოურილ ხელებს მერჩიოს,  
მე მაგ ხელებით ასი წლის შემდეგ მსურს,  
მოფერება კვლავაც მელირსოს...  
მე მინდა, გერქვას დედათა შორის  
ჭეშმარიტების დიდი მედროშე,  
ქანცვაწვეტილო აკვანთან შრომით,  
ფესვებძლიერო, ბებო თებროლე!

1992წ.

### დედა მზესთან მიგვიხმობს

დედას რა უხარია? –  
ის, რომ შეიღმა იღხინოს...  
... და დედების თვალთაგან  
ცრემლმა რომ არ იდინოს,  
ვენდოთ დედის გულისთქმას,  
დედა ღმერთთან მიგვიხმობს!  
დედის ტირილს სჯობია,  
ისევ შეიღმა იტიროს!





## ხმა დედის

თოვლი მენატრება,  
 დეკემბრის სურნელი,  
 ცა-ვარსკვლავეთის ფერი,  
 „თოვლია, გათენდა, შვილებო, ადექით“,-  
 დედა სარკმელთან მღერის...  
 თოვლი მენატრება,  
 „წავიდეთ“, „მოდიხარ?“  
 „სად ხარ ამდენ ხანს, გელი“,  
 სუნთქვა მენატრება დაღლილი გულის და  
 თოვლისებრ მკრთალი ხელი...  
 თოვლი მენატრება, დამდნარი თმებში და  
 ლხენით გადაღლილი მკერდი,  
 თოვლი მენატრება ცარგვლის სიშორიდან,  
 დიდთოვლობა, ხმა - დედის!...  
 დათოვლილ აღმართზე ნამდერი ფიქრები,  
 ყინულთ კისკისი ფერხით...  
 თოვლის მე ამგვარი მოსვლა მენატრება,  
 თოვლის მენატრება მთები!



## პირველი კლასის მასწავლებელს

(ვუძღვნი ჩემს პირველ მასწავლებელს –  
მაყვალა კუპრაიშვილს)

როცა ანბანი ფიცად მიქციეთ,  
დღემდე ამბორიც დამდევს ნუგეშად,  
როცა სურნელი, თქვენი, ვიკიე,  
ლოცვად მიმიხმეს თვალთა შუქებმა –  
სამყაროს ცნობის ის იყო ჟამი,  
მინდა, მადლობა გითხრათ  
ამაგდარს!  
... მე სხვა სამყარო, იმაზე კარგი,  
აღარ მეგულების, ალბათ, აღარსად!





# წამია წითისფერი და სიყვარულით ვიცოცხლოთ!



## იბადებოდა მზე-ღვთისმშობელი!

ამ დროს ხარობდნენ  
ბროწეულები,  
როცა ხარობდა ცა და ქვეყანა,  
იბადებოდა მზე-ღვთისმშობელი,  
იბადებოდა კაცთა ზეკალთად!  
ცისკროვანობდნენ  
ცისარტყელები,  
ეგებებოდა შობას ქვეყანა,  
იბადებოდა მზე-ღვთისმშობელი  
და კაცთა მოდგმას  
სძლეოდა ველარა!  
ცეცხლოვანობდნენ  
ბროწეულები,  
ებადებოდა  
ღეღა ქვეყანას!



## ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენთან არს ღმერთი  
ზღვით და ხმელეთით,  
ცით და ცის კიდით  
ყოვლისმეცნეა!  
გადამრჩენელი,  
მაკურებელი,  
ღირსთა, ყოველთა,  
მაკურთხეველი!  
ჩვენთან არს ღმერთი,  
არსთგამგებელი!

## კურთხეულ წყალთან

საღამოს ბინდი ამშვენებს ქალაქს,  
ისევ დუმს ხალხი კურთხეულ წყალთან...  
ვსუნთქავ საკმეველს  
ღვთისმშობლის კართან!  
უფალო ღმერთო, მარად და მარად,  
სულის სიმშვიდედ, უწმინდეს არსად,  
სანუკვარ ხატად, ნათელ წინამძღვრად,  
ჩემს ღმერთად მწამხარ!





## აღდგომა

მე მასაღკლდევეებს ქრისტეს აღდგომა  
 და გამარჯვება სიკვდილზე, მისი!  
 ... და მე მოოცებს, ქრისტეს წამება  
 კაცობრიობამ იტვირთა რისთვის?!  
 მე მეფიქრება ადამის მოდგმა,  
 ადამიანი, ცხოვრება - მისი;  
 იქნებ ოდესმე მოვა დროება,  
 ეყვარებოდეთ და და ძმა - თვისი?  
 ეყვარებოდეთ, ვით ღმერთს ვუყვარვართ,  
 ვით ღვთისმშობელი მფარველობს უღირსთ,  
 ვით მაღლი გვაწვიმს,  
 უმადურებიც ეგებ  
 თესავდნენ სიკეთეს გულით...  
 მე მეფიქრება უსინათლოდ და  
 უსიყვარულოდ თენება, მიწის;  
 მე მეფიქრება მწუხრის ზარები,  
 გალობა - ცისკრის,  
 ისმოდეს ვისთვის?  
 მე მეფიქრება ჩემი ქართული,  
 ჩაუქრობელი ღამპარი, ხიდი!  
 მე მეფიქრება გზა – ტაძრისკენა,  
 გზა – გასავლელი, მცირე და დიდი!  
 გზა – თუმცა შორი და ჭეშმარიტი,  
 გზა – საუფლომდე ჩვენი სავალი,  
 ამ გზით ეწამა ქრისტე კაცთაგან,  
 ქრისტე, კაცთათვის მკვდრეთით აღმსდგარი!



## აღბათ, ინატრის უფალი დუმილს!

როდესაც ვცხოვრობთ უფლის მცნებებით,  
თავად ცხოვრება გვადზევებს ღმერთთან,  
უფალს ვადიდებთ უბრალოებით,  
უფალს ვშორდებით,  
ოდეს ბზეს ვთესავთ!  
აღბათ, ინატრის უფალი დუმილს,  
როს უხვად ისმენს უღირსთა დელგმას,  
აღბათ, სამყაროც გადაიღალა,  
ბრძენნიც ირჩევენ, დადუმდეს ენა!





## იდგა აღდგომა

წითელი აღუჩა გახელებით ყვავილობდა!...  
 იდგა აღდგომა!  
 ქუჩაში ზღვა ხალხი მოდიოდა იასამნებით,  
 ზამბახებით, ტიტებით, მიხაკებით, ვარდებით...  
 ჰაერში მიწის სურნელი ტრიალებდა...  
 ახლადგადვიებული მიწის სურნელი...  
 თაფლის სანთლები ნაკვერჩხლისარომატიან  
 პასკებში ღიჯლიცვებდა...  
 ხალხი ღოცულობდა!  
 „ქრისტე აღსდგა!“ – ყველგან ისმოდა!  
 „ჭეშმარიტად!“ – ყველა ირწმუნებოდა!  
 ფრთოსნობა გალობდა!!!!...  
 ... წითელი აღუჩა გახელებით ყვავილობდა!...

## წამია წუთისოფელი

სულმა ღრუბლების თარეშში  
 სიყვარულით მზე ინატროს,  
 გული ოცნებით აენტოს,  
 ძარღვებში სისხლმა იხაროს!  
 თვალებს მდინარე მოასკდეს,  
 ღრმა სინანულით ვილოცოთ  
 და გაზაფხულის სადარმა –  
 ფიქრმა – სიზმრებშიც ითოვოს...  
 სუნთქვა არ შეწყდეს ყინვისფრად...  
 სამოთხემ შვილად გვინდომოს,  
 სიკეთეს ღხენით ვთესავდეთ,  
 სიმართლის ძალით ვიცხოვროთ!  
 წამია წუთისოფელი  
 და სიყვარულით ვიცოცხლოთ!



## წუთისეტი

ჩვენ არ ვიცით,  
გათენდება თუ არა,  
სიყვარულით რომ ღამდება,  
ვიცით,  
მოფერება და ღიმილი  
თუარა,  
წუთებს ვითვლით,  
წუთისეტი  
მიჰქრის!...

## მაპატიებს ღმერთი

რაც დავწერე, უფრო მეტი დავფერფლე...  
ცეცხლს ვუნთებდი გადაღლილი ხელით,  
გავატანე წვიმას, თოვლის ფანტელებს  
ქაღალდები, ჩემი გულის ფერი...  
მარცვალ-მარცვალ მიმოვფანტე ნისლეტში  
რითმები და სტრიქონები, ბევრი...  
ღრუბლებს მიღმა, ჩემგან ღტოლვილ არაკებს,  
მაპატიებს, მაპატიებს ღმერთი!





## მიტევების კვირა

გულის ფსკერზე ერთი ფიქრიც რომ  
 გამრუდდეს,  
 სწორედ იმ ერთს  
 ვერ გვავიწყებს ვერაფერი,  
 ღმერთო,  
 ყველა სიაკარგის  
 მხილველი ხარ,  
 გვაპატიე, გვაპატიე ყველაფერი...  
 მეც ვპატიობ  
 წუთის წამად გადამქცევლებს,  
 ვინც ბოროტი ირჩია  
 და  
 დევნა კარგი,  
 ვის უცვლია ღვინო წყლად და  
 წყალი – მღვრევად,  
 სიყვარული – სიძულვილად,  
 ღიმი – ბრაზით!...  
 სისხლის ცრემლით დამიგმანა  
 სულის მხერა,  
 მხოლოდ სანთლის სურნელი მაქვს გასახარი;  
 მომანატრა უამესი სითბო-ღხენა  
 და სინდისი გაუხდია დასაძრახი!  
 ღმერთო, ჩემო, მეც შევძელი პატიება,  
 მეც ვიტვირთე შენეული



მძიმე ჯვარი,  
ჩემში სახელობ,  
ჩემში გერძობ და ჩემში ნათლობ,  
მანუგეშე  
საუკუნო თმენის აღში.

### სიყვარულივით

სიყვარულივით, არ ვიცით, როდის,  
მაგრამ ყოველთვის,  
წლების აღმართზე,  
სიმშვიდით, შვებით  
და სილაყვარდით,  
... და სასოებით  
უჟამო ფერადოვნებიდან  
მარადისობისფერი,  
უფლის გზით,  
თავის უფალი  
თოვლი მოდის!







## თოვლიანი ვარდები

სასოებით მიმზერენ თოვლიანი ვარდები,  
 ნეტარების თვალებით, უცნაური გამებით!  
 როცა თოვლი დადნება,  
 ნაკადულის ქანებით,  
 ლურჯი ნისლი გაკრთება  
 ნაზად, სულის სარკეში!  
 ... საღამო მთლად ბრწყინავდა,  
 ცად ფეთქავდნენ ვარდები,  
 გული ზღვისფერს მიჰგავდა,  
 რეკდნენ ტაძრის ზარები!  
 ... თურმე მარტი მირთავდა  
 სიზმრებს, ღვთიურ კალმებით,  
 ლარნაკში სუელს ითქვამდნენ  
 თოვლიანი ვარდები!  
 მარტო...  
 ცა კი მიქადდა, გაზაფხულის დარებით,  
 მარად ხასხასს, ფოთლების,  
 თოვლიანი ვარდების!  
 ... საღამო მთლად ბრწყინავდა,  
 ცად ფეთქავდნენ ვარდები!...



## მარტო

თმა ივერცხლება...  
რატომ?  
რათა გაიხსენოს ადამიანმა  
ვერცხლზე გაყიდული სული  
და მოლოდინი დიდი სამსჯავროსი,  
სადაც წარსდგება მარტო!  
სადაც მართალი ანგელოზებთან  
იმარადუამებს სათნოდ!  
სად უსამართლო, სადაც ბოროტი  
მოინანიებს წარსულს.

## შემოდგომა გვეფერება

შემოდგომა გვეფერება  
უთვალავი ფერებით,  
გიორგობას ვეგებებით,  
წლებს იმედით ვერევიტ!  
შემოდგობა ზღაპარფერობს,  
ზღაპარხმებით ფოთლებიც  
ჩურჩულებენ: „დავბრუნდებით,  
გაზაფხულის მზეს ვეტრფით!  
ზურმუხტისფრად, სიცოცხლისფრად,  
სიყვარულის ფერებით,  
დავბრუნდებით, დავბრუნდებით,  
გაზაფხულის მზეს ვეტრფით!“





## ვკითხულობთ ბჭკარებს

ვკითხულობთ ბჭკარებს,  
 ამოტვიფრულს,  
 ჩვენთვის, ბარათებს...  
 მარტო ჩვენ რომ ვგრძნობთ  
 ბედნიერებად,  
 უკიდევანო ბედნიერებად –  
 თავად სამყაროც  
 ვერ ხსნის რომელსაც!  
 საკურნებლად და სადიდებლად  
 მხოლოდ სულისა,  
 ვკითხულობთ ბჭკარებს,  
 ისე სათუთად,  
 ვით კელაპტრები,  
 ლურჯი მონასტრის,  
 ვით მთაწმინდასთან მოლიცლიცე  
 ნათლის შუქურა,  
 ივლისის ღამის!  
 ვით დაღვენთილი  
 კელაპტარი  
 ტვერელის ქვაზე,  
 ქვაშვეთის ლოდთან,  
 ნარიყალაზე...  
 ვკითხულობთ ბჭკარებს!



## ზეციდან ცრემლები წვიმს

ზეციდან ცრემლები წვიმს,  
წვიმა აწამებს გულს,  
მიფრინავს გაზაფხულებამდე,  
რაც ამადლებდა სულს!!!  
... და საუკუნოდ,  
... და საუკუნოდ  
წვიმა აწამებს სულს!!!  
ნაკრტენი ბუმბული,  
ფოთოლი – აპრილის –  
კვლავ ელის სიცოცხლის შუქს!...  
... მიფრინავს გაზაფხულებამდე და  
სამყარო?...  
სამყარო უღმობლად დუმს!...

## იმედის სხივთა ფერებო

იმედით სავსე ცხოვრებაე,  
უშენოდ ვერ გავიდიმებ,  
საწუთრო უმაღლ მომცეგლავს,  
შენ ავსებ დღეთა სიმცირეს!  
შენი სიკეთით ვლადლები,  
შენი წყალობით ვლიდინებ,  
ხანდახან ისე ვმადლლები,  
ვარსკვლავთან ერთად ვიძინებ!  
...იმედის სხივთა ფერებო,  
დღითიდღე მეტად იწვიმე.





## მე გამუდმებით დაგეძებთ ყველას

მე გამუდმებით ვეძებ მას, ვისაც  
 შეეუქმებ ნახატს, ნაშენებს, იგავს,  
 მუსიკას – ლამაზს,  
 სალამს და სიტყვას,  
 შეეუქმებ ლექსებს, პოემას – ძვირფასს!  
 მას გამუდმებით დავეძებ, ვინაც  
 მართალი გულით და სიტყვით მხიბლავს!  
 მე გამუდმებით დავეძებ დილას – სანუკვარს,  
 დედის გულივით მზიანს!  
 მე გამუდმებით დავეძებ ღამეს,  
 ღამეს – ღვთაებრივს, ჩურჩულით საესეს!  
 დავეძებ ბალახს – მწვანეს და ხალასს!  
 მე გამუდმებით დავეძებ მნათობს  
 და მიჯნურ მთვარეს – სიტურფით საესეს!  
 მაღლიერ გულებს დავეძებ მუდამ,  
 სიკეთის სხივებს – სიცოცხლის მიზანს!  
 მუდამ დავეძებ, მარადსახსოვარს,  
 სიყვარულისთვის შეწყობილ ბგერებს  
 და თვალსაამოდ, ...და გულსაამოდ  
 სულის ნუგეშად მონაბერ ჰანგებს!  
 ...მე გამუდმებით დაგეძებთ ყველას!




## სარჩევი

ნინო გიორგაძე.....	3
ლამზირა კვიციანი.....	4
რიმზი მაისურაძე.....	4
ავტორისაგან.....	5
<b>გულში მზის სხივებს ვინახავ.....</b>	<b>11</b>
სულ უბრალო.....	11
ლექი ნაბიჯია ჩემი .....	13
მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ.....	14
*** დღეს რატომღაც უჩვეულოდ ვაღამებ.....	14
*** სანამ სიყვარული შემიძლია.....	15
*** პალმის ჩრდილში სუნთქავს ცელქი სიო.....	15
*** ისე ნაღვლიანად დამიხვდა გწერი.....	16
ხმელო ფოთოლო .....	16
*** ივერფლება შუაღამე.....	17
*** უმშვენიერესი .....	17
სასოება ერთგზის ხმობის .....	18
*** კენჭი სილაზე.....	18
თოვლისფერ ხიდზე.....	19
ახლაც თოვს.....	19
*** მიუყვები სანაპიროს.....	20
იას.....	20
გაზაფხული მაინც გაზაფხულია .....	21
ველარ.....	22
ჩემო რითმებო.....	22
*** შემოდგომა მიხმობს, გაყვებო!.....	23
დიღის ბინდის ღრუბელი.....	24
ყვებიან ზღაპრებს.....	25
...და მაინც ვნატრობ თოვას!.....	25
მე მდუმარება მიყვარს სითოვლის.....	26
ამედევნება სიყვარულად „დიღის საარი“!.....	27
სკოლაში .....	28





...და მაინც!.....	29
თებერვალი გულის ფეთქვად თოვდეს.....	30
ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ? 	31
სალამოს ბინდის ფიქრები.....	32
ცისკრების ხმა.....	33
აღმართები უსასრულოდ მისმობს.....	34
*** მზის სხივი.....	35
თქვენ.....	35
თოვდა ცაში.....	36
... და იქნებ ისევე გვეძახის თოვლი?.....	37
შობის სიზმრები.....	38
„მოვარის სონატამ“ დამეწერა გული.....	38
*** გახსოვთ, რა ღამაზად თოვდა?.....	39
ბელის ბორბალო!.....	40
აპრილის თოვა.....	41
ვარდის ფურცლებზე.....	42
*** სიცოცხლეში.....	43
ლექსის ბაღნარში.....	44
ღამის ხიბლი.....	44
წითელი ვარდები.....	45
*** ზღვა და ტალღების რიტმული როკვა.....	45
ჩიორაჩიტი მზეწვია.....	46
მადლი მაცოცხლებს, ღმერთისა!.....	47
ზღაპრები.....	48
*** მე ვუსმენდი აივნიდან.....	48
*** ახლაც მახსოვს უნაზესი თოვა.....	49
თოვლი და ქალი.....	49
იასამანი.....	50
ამ ხელოვნებას თოვლს როგორ ანდობს.....	51
რწმენა – ნუგეშად!.....	52
დიდის ბინდის ფიქრები.....	53
მარტის აკორდი.....	53
ის ფერები რა იქნა.....	54
*** ჩვენ ვზიდეთ ჯვარი.....	54



გაზაფხულის ფერად დადამებისას.....	55
ჩემი სიცოცხლის შუქი.....	56
შემოდგომის მზევ, ჩემო!.....	57
ვარდისფერი ღრუბელი.....	58
ღამე ივლისის.....	59
გაზაფხული .....	60
იასამნების ენთება დილა.....	61
*** სიცარიელედარქმეული.....	62
კონკორდზე.....	63
ჩემს ბავშვურ ღიმილზე .....	64
ამ გულის სითბო.....	65
აპრილისთვის.....	66
ცეცხლი თივაში.....	67
ზამთრის ფიფქო.....	68
სიყვარული გახაროთ.....	68
მზე გათბა.....	69
ფერება ფერის.....	70
ცამ იდარდა.....	71
გარდერობში თეთრი კაბა ფრიალებს.....	72
ღურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა.....	73
ახლა გვიანია შემოდგომა.....	74
საღამო თვლემს .....	75
ქვის მტკერი.....	76
შეყვარებული ქარი.....	77
ღამაზი ბავშვობა.....	78
<b>ფრისცვალა</b> .....	<b>79</b>
ფერისცვალება.....	79
აგვისტო.....	80
ფერისცვალება – 49.....	80
ფერისცვალება – 50.....	81
დღეს ხუთ ათეულს გავაცილებ მაჟორნოტებით .....	82
ვიდრე ხარ .....	83
გვიანგაზაფხული .....	84







<b>დამზადებულ, დღად დამზადე, ვინბლო სიტყვსო კვლავ დამაბრძო!</b> .....	<b>85</b>
თუ „იავნანა“ გელიდინება .....	85
ქალის ვედრება.....	86
ქალი .....	87
ქალს.....	88
შენ ჩამიწუმიც გატკობს .....	89
<b>ჩემი სულის სანთლები.....</b>	<b>90</b>
შვილები – ჩემი სულის სანთლები .....	90
ჩემს თამარს.....	93
ჩემო დათა.....	94
ჩემი ნენე .....	94
<b>მცკვარი „ნანას“ დედუნეს .....</b>	<b>95</b>
მეგობრებს.....	95
*** ახლა ჩემს თბილისს.....	97
სვანეთი .....	98
მაგრამ ქართველი უმეგობროდ თავს ვერ გაიტან.....	99
<b>შტამით ვეწამლოთ სამშობლოს.....</b>	<b>100</b>
ახალი წელი მობრძანდება.....	100
მეკვლეს დალოცვა.....	101
9 აპრილი 1989 წელი .....	102
ასეთი საქართველოც მახსოვს .....	103
ამაღლდი და აღორძინდი.....	104
ვინ მოსთვლის .....	105
გლეხის სიბრძნე .....	107
*** დაიკვნესა მწუხრის ზარმა.....	108
*** ზამთარს არასდროდ დაუგვიანია.....	108
ოდესღაც საქართველოში.....	109
ჩემო საქართველო .....	110
***დღეს ზვიადობდა ფერები ცისა.....	110
უნაზეს სულს უწამლეთ .....	111



მე კი ვღარდობდი...	111
გადაგვარჩინა .....	112
*** ზარბაზნებიდან .....	113
საბრალლო დედამიწა .....	114
ვერ იაპრილებ .....	114
გვიყვარდეს, გვიყვარდეს, მარად! .....	115
გათენება – სიზმარი .....	116
უსათუოდ .....	116
კვლავაც უნდა გაიტანო ლელო.. .....	117
<b>თულავი თავად პოემაა .....</b>	<b>118</b>
თელავი.....	118
თელავქალაქი.....	119
თელავის დილა .....	119
დე, გამშვენოს წინანდალმა! .....	120
თელავი თავად პოემაა .....	121
წინანდალს .....	122
თელავის განთიადი.....	123
თელავი – ჩემი სიცოცხლის ფერი!.....	124
მანანებზე ჩურჩულებენ თელანი.....	125
ვამრავლოთ ეს სილამაზე.....	126
ნარინჯის თოვა.....	126
თელავს .....	127
მთვარე აღმართზე.....	129
პირველი თოვლი კავკასიონზე.....	129
ამ ცისა და მიწის ტრფობით.....	130
შესვენებაზე გაფიქრებული.....	130
ნაწვიმარი ღამე.....	131
სიყვარულისთვის.....	132
წიგნისერთა ფოთოლი.....	133
<b>აჩრდილი .....</b>	<b>134</b>
თოვლს კვლავდა ვერის ხიდზე .....	134
ვაჟა-ფშაველას .....	135





ვუმზერ ცივ ხეთა ჯარს .....	136
<b>თქვენ პარიზს უყვარხართ .....</b>	<b>137</b>
ანანკე.....	137
თქვენ პარიზს უყვარხართ .....	138
ვარსკვლავის მოედანი.....	139
<b>კვლავ ამოენტება მზე დიდებულებით .....</b>	<b>140</b>
*** გაწვიმდა.....	140
წვიმს .....	141
წვიმას ვეფერები.....	142
ლამაზი თენებით.....	143
ყაყაჩოს ფერი .....	143
მთვარე და ნაძვის ხე.....	144
მზე და ლამაზი გაზაფხული.....	145
წუხელ ბლადა ვერე.....	146
შორს, რაც შოვს გადახდენია!.....	147
სავედრებელი (შოვის ტრაგედიისადმი).....	148
<b>მე ჩემი გულის ნაწილებს ვდარდობ.....</b>	<b>149</b>
მე ამ ცასავით მტკივა ეს გული.....	149
ქეთევანისთვის.....	150
ვ.შ. – ს.....	151
იყავ ნება.....	152
თეთრი ღამეები.....	153
*** იანვრის თვეში.....	153
რა ვიცოდით იმ თებერვლის ღამეს.....	154
თოვს.....	155
ანგელოზ ნიკოლოზს.....	156
უშენოდ ზაფხულს როგორ უჭირს გამონათება .....	157
ვინ იცის, ივნისს მერამდენედ გადავურჩები.....	159
შენ – ჩემი ხატი!.....	160
მარიტა .....	161
13 წლის და სამთაწმინდე.....	162



*** მოქუხს ხევი .....	162
სამოთხის ბაღში კელაპტარი ლოდინით იწვის.....	163

<b>შენს დაღლილ მკლავებს, შენს წმინდა გულს უფალს ვავედრებ!</b> .....	<b>164</b>
ბებო თებროლეს .....	164
დედა მზესთან მიგვიხმობს .....	165
ხმა დედის.....	166
პირველი კლასის მასწავლებელს.....	167

<b>წამია წუთისოფელი და სიყვარულით ვიცოცხლოთ!</b> .....	<b>168</b>
იბადებოდა მზე-დღეთისმშობელი!.....	168
ჩვენთან არს ღმერთი.....	169
კურთხეულ წყალთან.....	169
აღდგომა .....	170
აღბათ, ინატრის უფალი დუმილს!.....	171
იდგა აღდგომა.....	172
წამია წუთისოფელი.....	172
წუთისეტლი .....	173
მაპატიებს ღმერთი .....	173
მიტევების კვირა.....	174
სიყვარულივით .....	175
თოვლიანი ვარდები .....	176
მარტო.....	177
შემოდგომა გვეფერება .....	177
ვკითხულობთ ბწკარებს.....	178
ზეციდან ცრემლები წვიმს.....	179
იმედის სხივთა ფერებო.....	179
მე გამუდმებით დაგეცხობ ყველას.....	180





---

**Manana Shioshvili**

**GARDEN OF POETRY**  
**(In Georgian Version)**

**TELAVI**  
**2024**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)



ISBN 978-9941-33-636-2



ლევან ბაქნარი

მანა შიშვილი